| ინდიკატორი<br>N2.1.2.4 | სახელმწიფო ენა              | მასწავლებლებს გასაუბრებისას მიეცა რჩევა, შერჩეულ კომპლექსურ დავალებებთან მიმართებით შექმნან განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ავტორიზაციის ქოუჩინგის პერიოდში დამუშავებული შეფასების რუბრიკების მიხედვით.                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                       |
| ინდიკატორი<br>N2.3.2.3 | საზოგადოებრივი მეცნიერებები | უფრო მეტად მრავალფეროვანი მეთოდები გამოიყენონ მოსწავლეთა მონაცემების შეგროვებისას.                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                 |
| ინდიკატორი<br>N2.2.2.1 | უცხო ენები                  | სკოლას მიეცა რჩევა პირველი უცხო ენის (ინგლისური ენის ) 1 კლასის კურიკულუმის ჩარჩო უფრო დაიხვეწოს და სრულად გაიწეროს სამიზნე ცნებები და ქვეცნებები. სასურველია, ყველა თემის ფარგლებში დამუშავდეს კომპლექსური დავალება. შესწორდეს მე-5 თემის ფარგლებში დასამუშავებელი სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, გასწორდეს საკითხი კომპლექსურ დავალებასთან მიმართებით. მე-3 კლასის კურიკულუმის ჩარჩოში გასწორდეს სამიზნე ცნებები, ქვეცნებები მე-3, მე-4 , მე-5 თემებში გამოიყოს, რომელი სამიზნე ცნებები მუშავდება, დაკონკრეტდეს სამეტყველო ქმდებების ფარგლებში, რომელი ქვესაკითხი მუშავდება დაწყებითი საფეხურის უცხო ენის სტანდარტზე დაყრდნობით, დაზოსტდეს თემების სახელწოდება. მე-4 კლასის კურიკულუმში არასრულყოფილა. გამოიყოს კომპლექსური დავალებების პირობის იდეები, გამოიკვეთოს საჭირო რესურსები, სწორად ჩამოყალიბდეს ცნებები და ძირითადი კონტექსტ მაგალითი. მე-5, მე-6 კლასის კურიკულუმში ჩამოყალიბდეს სამიზნე ცნებები სწორად და ძირითადი საკითხების სვეტში გაიწეროს ქვეთემების სახელწოდება |

| სტანდარტი N2           | სასკოლო კურიკულუმი<br>(საბაზო საფეხური) | რჩევა                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                       |
|------------------------|-----------------------------------------|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| ინდიკატორი<br>N2.1.1.2 | ბუნებისმეტყველება                       | სამომავლოდ უზრუნველყონ მშობელთა აქტიური ჩართულობა აღნიშნულ პროცესში                                                                                                                                                                                                                                                                                                         |
| ინდიკატორი<br>N2.1.2.4 | ბუნებისმეტყველება                       | განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებების რუბრიკები შეიქმნას თითოეული სავალდებულო თემების მიხედვით                                                                                                                                                                                                                                                                       |
| ინდიკატორი<br>N2.1.2.1 | სახელმწიფო ენა                          | სასურველია, მასწავლებლები სიღრმისეულად გაეცნონ ქართული ენისა და ლიტერატურის საბაზო საფეხურის საგნობრივ სტანდარტს, გრძელვადიან მიზნებს და შესაბამისად დაგეგმონ მიმდინარე სასწავლო წლის კურიკულუმი, ბოლომდე შეავსონ თემატურ-სტრუქტურული ერთეულები და თემის ფარგლებში განსაზღვრონ თითო კომპლექსური დავალების განხორციელება.                                                    |
| ინდიკატორი<br>N2.1.2.2 | სახელმწიფო ენა                          | მასწავლებლებმა კომპლექსური დავალების იდეები შეარჩიონ იმგვარად, რომ სასწავლო წლის განმავლობაში დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება, აქტივობები კი დაგეგმონ გლობალური ფუნქციური უნარების (შემოქმედებითობა, კრიტიკული აზროვნება, კომუნიკაცია, მოქალაქეობა) განვითარების კუთხით.                                                                                                     |
| ინდიკატორი<br>N2.3.2.3 | საზოგადოებრივი მეცნიერებები             | უფრო მეტად მრავალფეროვანი მეთოდები გამოიყენონ მოსწავლეთა მონაცემების შეგროვებისას.                                                                                                                                                                                                                                                                                          |
| ინდიკატორი<br>N2.2.2.1 | უცხო ენები                              | სკოლას მიეცა რჩევა საბაზო საფეხურის კურიკულუმში მკაფიოდ იქნას აღნიშნული და დაზუსტდეს ყველა თემის ფარგლებში სამიზნე ცნებები და კვესაკითხები. კერძოდ მე-7 2,3,6 თემებზე, რომლებზეც არ არის კომპლექსური დავალება გაწერილი, მე-8 კლასში 2,3,4,5,6 თემასთან მიმართებით. მე-9 კლასში 2,3,4,5 თემებთან, რომლებზეც არ არის კომპლექსური დავალება დაგეგმილი დაზუსტეს სამიზნე ცნებები. |

## VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

## VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ წაცხურას საჯარო სკოლას გაეგზავნა ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნის პროექტი. დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ სკოლამ გამოაგზავნა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, გეგმის თანახმად:

1. N 3.1.2.1 ინდიკატორის მოთხოვნის „პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად“ უზრუნველსაყოფად სკოლამ, შესაბამისობის გეგმის თანახმად, წარმოადგინა სკოლის დირექტორთან, როგორც მასწავლებელთან გაფორმებული ხელშეკრულება.
2. N 3.1.2.3 ინდიკატორის მოთხოვნის „პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით“ უზრუნველსაყოფად სკოლა, შესაბამისობის გეგმის თანახმად, იღებს ვალდებულებას ცნობები „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის“ და „უფლების ჩამორთმევის შესახებ“ წარმოადგინოს 14.12.2023 მდე.
3. N 3.4.1.1 ინდიკატორის მოთხოვნის „სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას“ უზრუნველსაყოფად სკოლა შესაბამისობის გეგმის თანახმად, იღებს ვალდებულებას უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებულ საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმას, დასკვნა/მიწერილობას შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ და შენობის მდგომარეობის დასკვნას სკოლა წარმოადგენოს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერილ ვადებში 2024 წლის 8 ნოემბრამდე.
4. N3.5.1.1 ინდიკატორის მოთხოვნის „სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით“ უზრუნველსაყოფად სკოლა შესაბამისობის გეგმის თანახმად, იღებს ვალდებულებას ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და შენობა-ნაგებობების სქემა წარმოდგენილი იქნება სკოლის მიერ შემუშავებულ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერილ ვადებში 20.12.2023 მდე.
5. N3.6.2.1. ინდიკატორის მოთხოვნის „სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი“ უზრუნველსაყოფად სკოლამ, შესაბამისობის გეგმის თანახმად, წარმოადგინა შემოსული და გასული კორესპოდენციის რეგისტრაციის მატერიალური ჟურნალები, თანამშრომლებთან დადებული ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი, საერთო ბრძანებებში არსებული ტექნიკური ხარვეზის გასწორების ბრძანებები.
6. N 3.6.3.5 ინდიკატორის მოთხოვნის „ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია“ უზრუნველსაყოფად სკოლამ, შესაბამისობის გეგმის თანახმად, განაახლა ვებ გვერდზე არსებული ინფორმაცია კერძოდ განათავსა სკოლის მიერ შემუშავებულ სხვადასხვა დოკუმენტაცია, მათ შორის სკოლის სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების ნაწილში განთავსებულია სკოლის ღირებულებები, ასევე განათავსა აპელაციის მექანიზმები, კერძოდ სკოლის მიმართ წარმოდგენილი განცხადების/ საჩივრის განხილვის პროცედურები.





7. N4.1.1.3 ინდიკატორის მოთხოვნის „სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა“ უზრუნველსაყოფად სკოლამ, შესაბამისობის გეგმის თანახმად, წარმოადგინა მშობლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები
8. კომპონენტი 2.2. საბაზო საფეხურის „კურიკულუმის განხორციელება“ უზრუნველსაყოფად არგუმენტირებული პოზიციისას სკოლა, წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა , რომლის მიხედვითაც სკოლა 2024 წლის 10 ნოემბრამდე , სკოლა უზრუნველყოფს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობას.  
აღნიშნული საკითხები განიხილა ექსპერტთა ჯგუფმა და გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია. ინდიკატორი N 3.1.2.1 შეფასდა როგორც შესაბამისი, ინდიკატორი 3.1.2.3 შეფასდა , როგორც მეტწილად შესაბამისი, შესაბამისად კომპონენტი 3.1. შეფასდა , როგორც მეტწილად შესაბამისი.  
ინდიკატორი 3.4.1.1 შეფასდა , როგორც მეტწილად შესაბამისი, შესაბამისად კომპონენტი 3.4 შეფასდა , როგორც მეტწილად შესაბამისი.  
ინდიკატორი 3.5.1.1 როგორც მეტწილად შესაბამისი, კომპონენტი 3.5. შეფასდა , როგორც მეტწილად შესაბამისი.  
ინდიკატორი 3.6.2.1 როგორც შესაბამისი, ინდიკატორი 3.6.3.5. როგორც შესაბამისი და კომპონენტი 3.6. , როგორც შესაბამისი, შესაბამისად სტანდარტი 3 შეფასდა , როგორც მეტწილად შესაბამისი.  
ინდიკატორი 4.1.1.3. შეფასდა , როგორც შესაბამისი, კომპონენტი 4.1 შეფასდა როგორც შესაბამისი და მე4 სტანდარტი როგორც შესაბამისი  
კომპონენტი 2.2. საბაზო საფეხურზე შეფასდა , როგორც მეტწილად შესაბამისი და საბაზო საფეხურის მე-2 სტანდარტი შეფასდა , როგორც მეტწილად შესაბამისი.

### ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

#### 1. სკოლის ფილოსოფია

##### 1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

##### 1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციალ-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.



## ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

### 1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;

სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ წაჩხურას საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს 2023-2030 სტრატეგიული გეგმა რომელიც დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ და რომელშიც წარმოდგენილია მოქმედი მისია, ხედვა და ღირებულებები. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. სასკოლო სასწავლო გეგმაშიც მოცემულია სკოლის ხედვა და მისია, სკოლას შექმნილი აქვს როგორც მთლიანი სკოლის, ასევე საფეხურების მიხედვით ჩაშლილი მისია. სკოლა აღწერს, რომ მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი, განთავსებულია თვალსაჩინო სივრცეში, გამოყენებულია ყველა საშუალება: სკოლის ვებ.გვერდი, სხვა საინფორმაციო ქსელები, მშობელთა ჯგუფებში გაზიარება. შესაბამისად, სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

#### მისია

სკოლის მისია ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობისაგან დაცული, უსაფრთხო გარემოს შექმნით თავისუფალი, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მქონე მოქალაქეების აღზრდა და სწავლების მაღალი დონის მიღწევა.

#### ხედვა

სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ წაჩხურას საჯარო სკოლა არის სოფლის სასწავლო კულტურული და სათემო განვითარების ცენტრი, რომელმაც უნდა აღზარდოს ყოველმხრივ განვითარებული თაობა და 2030 წლისათვის ამ მიმართულებით იქნება გამორჩეული მარტვილის მუნიციპალიტეტში.

#### სკოლის ღირებულებები:

- თანამშრომლობა;
- გუნდურობა;
- ღიაობა;
- დემოკრატიული მართვა;
- უწყვეტი განვითარება.

სკოლის მისიის, ღირებულებებისა და ხედვის განსახორციელებლად სასკოლო საზოგადოებამ უნდა იხელმძღვანელოს შემდეგი პრინციპებით:

- წესრიგი და კეთილსინდისიერება
- მიუკერძოებლობა
- სამართლიანობა და გამჭვირვალობა
- სწავლა/სწავლების ხარისხის გაუმჯობესება

- თემისა და საზოგადოების ინტერესის გათვალისწინება
- პედაგოგთა პროფესიული ზრდა და განვითარება
- გუნდური მუშაობა

**შესაბამისად „სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს“ ინდიკატორი 1.1.1.1 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს და დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;

სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ წაჩხურას საჯარო სკოლა საკუთარ თავს განიხილავს, როგორც სოციო-კულტურულ სივრცეს. კანონმდებლობით დადგენილი წესითა და შიდასასკოლო მექანიზმებით სკოლას გათავისებული აქვს საკუთარი როლი სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცის უზრუნველყოფაში. პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სოციო-კულტურული სივრცის უზრუნველყოფის მიზნით, სკოლა არა მარტო ფორმალურ განათლებას, არამედ არაფორმალურ განათლებასაც უთმობს დროს. სკოლაში პერიოდულად ხორციელდება სასკოლო პროექტები მშობელთა ჩართულობით. სკოლა თავისი მისიით, ხედვითა და ღირებულებებით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოების უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს, რაც დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი 2023-2024 სასკოლო სასწავლო გეგმით, აგრეთვე, შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმით, რომელშიც მითითებულია, თუ როგორ გარემოში, როგორი მატერიალური და ადამიანური რესურსით შეძლებს სკოლა მისიით განსაზღვრული ღირებულებების მქონე პიროვნების აღზრდას.

**შესაბამისად, „სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს“ ინდიკატორი 1.1.1.2 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს და დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;

სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ წაჩხურას საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილია სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 07.09.2023 წლის N2-14 ბრძანებით, სადაც დაწვრილებით არის მოცემული მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული დაგეგმარების ძირითადი ეტაპები, განსაზღვრულია ამ პროცესებზე პასუხისმგებელი პირები, პროცესში ჩართული მხარეები. დოკუმენტში მოცემულია ძირითადი პრინციპები: თანამონაწილეობა, სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინება; გამჭვირვალობა; ანგარიშვალდებულება; მოცემულია, აგრეთვე, სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფის ფორმირების პროცესი; SWOT მეთოდოლოგია, რომლის მეშვეობითაც ხდება სასკოლო გარემოს

შეფასება; სკოლის ფილოსოფიის გაზიარება-გასაჯაროების მექანიზმები. გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავებაში ჩართული იყო სასკოლო საზოგადოება.

შესაბამისად, „სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით“ ინდიკატორი 1.1.1.3 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს და დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ წაჩხურას საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილია სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის შესაბამისად სკოლის ფილოსოფია გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, რაც დასტურდება სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგადაც

შესაბამისად, „სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ“ ინდიკატორი 1.1.1.4 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს და სრულად არის დაკმაყოფილებული.

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გამოკრულია სკოლის ფოიეში და ასევე გამოქვეყნებულია სკოლის ვებ-გვერდზე.

შესაბამისად, „სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი“ ინდიკატორი 1.1.1.5 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს და დაკმაყოფილებულია.

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს;

სკოლა საჯარო სამართლის იურიდიული პირია, მისი სახელწოდება შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 448-ე ბრძანებას.

შესაბამისად, „სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს“ ინდიკატორი 1.1.1.6 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს და დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2023-2030 სტრატეგიული გეგმა
- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია
- ერთწლიანი გეგმა
- სასკოლო სასწავლო გეგმა

სკოლის ინტერიერის ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

## 1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

### 1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;

სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ წაჩხურას საჯარო სკოლას წარმოდგენილი აქვს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით, რომლის მთავარ ორიენტირად მაქსიმალური ჩართულობა განისაზღვრა. მეთოდოლოგიის მიხედვით ნათლად ჩანს ის ნაბიჯები, რომელიც უნდა განახორციელოს სკოლამ ეტაპობრივად შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შექმნისას.

აღნიშნულ მეთოდოლოგიაში მოცემული ნაბიჯები სკოლას მისცა შესაძლებლობა არსებული მდგომარეობის სწორად გაანალიზების, როგორც შიდა, ისე გარე ფაქტორების გათვალისწინებით და შექმნა სკოლის პრიორიტეტების განსაზღვრით, საჭიროებებზე მორგებული, მისიის, ხედვისა და ღირებულებების შესაბამისი შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.

სკოლამ ვიზიტის პერიოდში მტკიცებულებად წარმოადგინა პედაგოგიური საბჭოს 21.06.2023 წლის სხდომის ოქმი N2 სტრატეგიული განვითარების გეგმის შექმნაზე მომუშავე სამუშაო ჯგუფის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ და დირექტორის ბრძანება 2-14. 07.09. 2023 სტრატეგიული განვითარების დაგეგმვის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ.

**შესაბამისად, „სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს“ ინდიკატორი 1.2.1.1 დაკმაყოფილებულია**

2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;

სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ წაჩხურას საჯარო სკოლის სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს. გარდა ამისა, სასურველია სტრატეგიული განვითარების მიმართულებები, აქტივობები, განმახორციელებელი პირები და რესურსები სკოლამ წარმოადგინოს ცხრილის სახით, რათა ინფორმაცია უფრო აღქმადი იყოს. ნარატიულად აქვს წარმოდგენილი სკოლას სტრატეგიული გეგმის მთავარი ნაწილი-სტრატეგიული მიზნები, ვადები არ არის გაწერილი.

**შესაბამისად, „სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს“ ინდიკატორი 1.2.1.2 დაკმაყოფილებულია.**

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;



სამოქმედო გეგმის ეფუძნება სკოლის შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმის პროექტს და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას. მოქმედი გეგმის მიხედვით გამოყოფილი აქვთ 5 პრიორიტეტული მიზანი:

- 1) სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება;
- 2) სასკოლო დოკუმენტაციის შემუშავება/განახლება და ორგანიზაციული განვითარება;
- 3) მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;
- 4) უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინური გარემოს უზრუნველყოფა;
- 5) მშობელთა ჩართულობის ხელშეწყობა;

სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესაბამისად და სკოლის დირექტორთან და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლის ერთწლიანი გეგმა ეფუძნება სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას.

**შესაბამისად, „სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას“ ინდიკატორი 1.2.1.3 დაკმაყოფილებულია.**

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ წაჩხურას საჯარო სკოლამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა 2023-2024 სასწავლო წლისათვის შექმნილი ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელშიც აქტივობები განსაზღვრული არის შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად, სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის მიხედვით. აღნიშნულ სამოქმედო გეგმაში, განსაზღვრულია შესრულების აქტივობები/შინაარსი, რეალისტური ვადები და პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

**შესაბამისად, „სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია“ ინდიკატორი 1.2.1.4 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა;



- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სტრატეგიული გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია;
- პედაგოგიური საბჭოს ოქმი სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

#### 1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს

სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ წაჩხურას საჯარო სკოლას მუშავებული აქვს და ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა დოკუმენტი „სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია“, რომელიც მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს.

მეთოდოლოგიის დოკუმენტის შესაბამისად, სტრატეგიული პროცესის ეფექტიანად წარმართვისათვის, სკოლამ უნდა განახორციელოს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი და შეფასება, სასკოლო საზოგადოებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით.

მეთოდოლოგიის დოკუმენტში მოცემულია სტრატეგიული გეგმისა და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის შესახებ ინფორმაცია, რომელიც წელიწადში მინიმუმ ერთხელ ხორციელდება და საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია განხორციელდეს არაგეგმიური მონიტორინგიც.

### **შესაბამისად, „სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს“ ინდიკატორი 1.2.2.1 დაკმაყოფილებულია**

2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;

სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ წაჩხურას საჯარო სკოლა სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტის შესაბამისად, სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას განახორციელებს დირექტორის მიერ ამ მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფი. შესაძლოა განხორციელდეს არაგეგმიური მონიტორინგიც. სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი ხორციელდება წელიწადში ერთხელ – სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშის საფუძველზე. სამოქმედო გეგმის მონიტორინგი ნიშნავს მონაცემების შეგროვებას სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანებისა და აქტივობების შესრულების სტატუსთან დაკავშირებით, ასევე მოიცავს შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენას. შეფასება ნიშნავს შეგროვებული მონაცემების გაანალიზებას და შემდგომი რეაგირების საჭიროების განსაზღვრას. სამოქმედო გეგმების მონიტორინგის შედეგები იდება სკოლის ვებ-გვერდზე და სოციალურ ქსელში. იდენტიფიცირებული პრობლემების და პროცესებში შეფერხების აღმოფხვრის მიზნით. გეგმის შესრულების მონიტორინგის და შეფასების შედეგები გაზიარდება დაინტერესებულ პირებთან მათგან უკუკავშირის მიღების მიზნით. სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების შედეგები წარედგინება სკოლის დირექტორს შემდგომი რეაგირების მიზნით.

**შესაბამისად, „მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით“ ინდიკატორი 1.2.2.2 დაკმაყოფილებულია.**

3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;

სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ წაჩხურას საჯარო სკოლა სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტის შესაბამისად, სამოქმედო გეგმების მონიტორინგის შედეგები იდება სკოლის ვებ გვერდზე და სოციალურ ქსელში. შესაბამისად, აღნიშნული საჯარო იქნება სასკოლო საზოგადოებისა და დაინტერესებული მხარეებისათვის.

შესაბამისად, „სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯარო“ ინდიკატორი 1.2.2.3 დაკმაყოფილებულია.

4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის;

სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ წაჩხურას საჯარო სკოლაში, წარმოდგენილი მეთოდოლოგიის და პრაქტიკის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენებოდა სკოლის შემდგომი განვითარებისთვის და სამომავლოდ იგეგმება ანალოგიური პრაქტიკა.

შესაბამისად, „სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის“ ინდიკატორი 1.2.2.4 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია
- სტრატეგიული გეგმა;
- სამოქმედო გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*
  - ☒ შეესაბამება
  - ☐ მეტწილად შეესაბამება
  - ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
  - ☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ წაჩხურას საჯარო სკოლას 2023-2024 სასწავლო წლისათვის სასწავლო პროცესის წარმართვისათვის, სამტატო განრიგის შესაბამისად, ჰყავს 20 თანამშრომელი. აქედან დაწყებით და საბაზო საგანმანათლებლო პროგრამას, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, ახორციელებს 14 მასწავლებელი, აქედან 4 უსტატუსო მასწავლებელი, 8 უფროსი მასწავლებელი 1 წამყვანი მასწავლებელი და 1 პრაქტიკოსი სპეც.მასწავლებელი. სკოლის დირექტორთან, როგორც ჭადრაკის მასწავლებელთან არ არის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება, როგორც ირკვევა შრომითი ხელშეკრულებების რეგისტრაციის წიგნიდან. სკოლას ჰყავს შემდეგი ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი: დირექტორი, 1 ბუღალტერი, 1 საქმისმწარმოებელი, 1 სპეციალური მასწავლებელი, 1 ექიმი, 2 დარაჯი, 1 დამლაგებელი.

სკოლის მიერ გადმოგზავნილია და ასევე ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის“, დოკუმენტი დირექტორის 06.09.2023 წლის ბრძანება 2-13 და ასევე „პერსონალის მართვის წესი“ დირექტორის 13.09. 2023 წლის ბრძანება N2-51, რომლითაც რეგულირდება სკოლაში პედაგოგის/თანამშრომლის მიღება/შერჩევა. დოკუმენტში მოცემულია კონკურსის გამოცხადების პირობები, გამოცხადების საჯაროობის უზრუნველყოფის პირობები, კანდიდატისთვის წამოყენებული პირობები და წარსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით: დირექტორის 06,10,2023 წელის N 2-58 ბრძანებით დამტკიცებული „სტრუქტურული ერთეულები, ფუნქცია მოვალეობების დამტკიცების შესახებ“ და თანამშრომელთა ხელშეკრულებებით დასტურდება, რომ სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული. სკოლაში შექმნილია პედაგოგიური, სამეურვეო საბჭოს, მრჩეველთა საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინარული კომიტეტი, საგნობრივი კათედრები, ხარისხის განვითარებისა და მხარდამჭერი ჯგუფი.

**შესაბამისად, „სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული“ ინდიკატორი 3.1.1.1 დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ წაჩხურას საჯარო სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები ისეა განაწილებული, რომ სკოლაში საგანმანათლებლო საქმიანობა ეფექტურად წარიმართოს. სკოლა მცირეკონტიგენტიანია და შესაბამისად არ ყავს მოადგილე, ბიბლიოთეკარი, თუმცა მოადგილის და ბიბლიოთეკარის მოვალეობები შესაბამისად დაკისრებული აქვს სკოლის მასწავლებელს,

სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით ირკვევა, რომ სკოლის თითოეულ თანამშრომელს გათავისებული და გაზიარებული აქვს საკუთარი პასუხისმგებლობა და სხვებთან თანამშრომლობა საერთო საგანმანათლებლო მიზნების მისაღწევად.

სკოლის თანამშრომლებთან გასაუბრების საფუძველზე დასტურდება, რომ სასკოლო საზოგადოების თითოეულმა წევრმა იცის საკუთარი ფუნქცია და პასუხისმგებლობა. სკოლამ წარადგინა სკოლის დირექტორის 06.10.2023წლის N 2-58 ბრძანება „სკოლის სტრუქტურული ერთეულები, ფუნქცია - მოვალეობების დამტკიცების შესახებ“ თანამშრომელთან დადებულია ხელშეკრულებები, სკოლის თანამშრომლები ხელმძღვანელობენ თავიანთი ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების შესაბამისად რაც ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

შესაბამისად, „სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას“ ინდიკატორი 3.1.1.2 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- დირექტორის ბრძანება: „სკოლის სტრუქტურული ერთეულები, ფუნქცია მოვალეობების დამტკიცების შესახებ”
- სამეურვეოს საბჭოს სხდომი ოქები
- პედაგოგიური საბჭოს ოქები
- დირექტორის ბრძანება „პერსონალის მართვის წესი”
- პირადი საქმეები
- ხელშეკრულებები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება



### 3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

9. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
10. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
11. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით;
12. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
13. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
14. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

#### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად

სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ წაჩხურას საჯარო საჯარო სკოლაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად; სკოლას პერსონალის მართვის პროცედურები გაწერილი აქვს სკოლის დირექტორის 06.09.2023 წლის N 2-13 ბრძანებით დამტკიცებულ, „სკოლაში ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ“ დოკუმენტში, სკოლამ ასევე წარმოადგინა შინაგანაწესი. სკოლის შინაგანაწესი და სკოლის პერსონალთან დადებული ხელშეკრულებები შესაბამისია და არ ეწინააღმდეგება ერთმანეთს.

სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, საგნობრივი კათედრები, რომელებიც აკვირდებიან მასწავლებელთა საგაკვეთილო პროცესს, ხდება მათი პროფესიული განვითარების საჭიროებების დადგენა, შესაბამისად იძლევიან უკუკავშირს, რომელთა გათვალისწინებაც ხდება მასწავლებელთა მიერ შემდგომ კრიტერიუმში შეესაბამება სტანდარტს.

მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, სკოლის დირექტორთან როგორც მასწავლებელთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება სკოლამ წარმოადგინა დაწესებულების მიერ არგუმენტირებული პოზიციისა წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის შესაბამისად. ყველა ხელშეკრულება შედგენილია საქართველოს ორგანული კანონის „შრომის კოდექსთან“ შესაბამისობაში. ხელშეკრულებები ხელმოწერილია და დამოწმებული სკოლის ბეჭდით. რეგისტრაციის ჟურნალში ხელშეკრულებებში გაფორმების თარიღი არ არის შესაბამისობაში კალენდართან, დარღვეულია კალენდარულია წყობა, ასევე ჟურნალში არ ჩანს გაფორმებულია თუ არა ხელშეკრულება სკოლის დირექტორთან, როგორც სკოლის მასწავლებელთან. ხელშეკრულებებში ყველა სავალდებულო პუნქტთან ერთად, დეტალურადაა განსაზღვრული თითოეული სტრუქტურული ერთეულის უფლება-მოვალეობები. ხელშეკრულების შინაარსს წარმოადგენს: ზოგადი



დებულებები და მოვალეობები, შვებულების მიცემის წესი, სამუშაო დრო და დასვენების დრო, ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი, მხარეთა პასუხისმგებლობის წესი, ხელშეკრულებების მოქმედების ვადა, მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერა, სტატუსის მიხედვით უფროსი და წამყვანი მასწავლებლების ხელშეკრულების საგანი და მათი უფლება-მოვალეობები.

**შესაბამისად, „პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;“ ინდიკატორი 3.1.2.1 დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;

სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ წაჩხურას საჯარო სკოლის დოკუმენტაციის შესწავლითა და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა. სკოლამ წარმოადგინა შინაგანაწესი, თანამშრომელთა შრომითი ხელშეკრულებები, სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი.

დირექციასთან და პედაგოგებთან ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ ვაკანტური ადგილების არსებობის შემთხვევაში, სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირის გამოსავლენად ცხადდება კონკურსი. სკოლა კონკურსის ჩატარების დროს ხელმძღვანელობს მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესით. საჭირო კადრისთვის წინასწარ განისაზღვრება საკვალიფიკაციო მოთხოვნები და ქვეყნდება საკონკურსო განაცხადთან ერთად მასწავლებლის დასაქმების ვებგვერდზე. დასაქმებულის არყოფნის შემთხვევაში ხდება მისი ფუნქციების გადანაწილება სხვა შესაბამისი კვალიფიკაციის დასაქმებულზე. ეს პროცედურები ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის შეუფერხებელ განხორციელებას. სკოლამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის 07.09.2023 წლის ბრძანება N 2-26 „პერსონალის შერჩევისა და ადაპტაცია-ორიენტაციის პროცესის დამტკიცების შესახებ“. სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომლითაც განსაზღვრულია საჭიროებებზე დაფუძნებული პერსონალის მართვის ძირითადი მიმართულებები.

**შესაბამისად, „სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა“ ინდიკატორი 3.1.2.2 დაკმაყოფილებულია.**

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით;

სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ წაჩხურას საჯარო სკოლა პერსონალის შერჩევას უზრუნველყოფს ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით. კერძოდ, პედაგოგებს იღებს კონკურსის გზით, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც კონკურსის გამოცხადებამ შეიძლება გამოიწვიოს სასწავლო პროცესის ჩაშლა. საკონკურსო პირობებს, კანონმდებლობის საფუძველზე, ადგენს სკოლის დირექტორი. განცხადებას ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ სკოლა აქვეყნებს საჯაროდ [www.pedagogi.ge/www.teacherjobs.ge](http://www.pedagogi.ge/www.teacherjobs.ge)-ზე, ასევე განცხადება შიდა კონკურსის შესახებ ქვეყნდება სკოლაში დასაქმებულთათვის ხელმისაწვდომ ადგილას. საკონკურსო კომისია განიხილავს ვაკანტურ პოზიციასზე შესულ განცხადებებს და გადაარჩევს იმ კანდიდატებს, რომელთა მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია შეესაბამება დამსაქმებლის მიერ წაყენებულ მოთხოვნებს.

აღნიშნულ საიტზე გამოქვეყნებული ვაკანსიები აკმაყოფილებს კანონით დადგენილ მოთხოვნებს.

სკოლაში მიღებულ დასაქმებულზე იხსნება პირადი საქმე. სკოლამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის 07.09.2023 წლის ბრძანება N 2-26 „, პერსონალის შერჩევისა და ადაპტაცია-ორიენტაციის პროცესის დამტკიცების შესახებ, რომლითაც რეგულირდება სკოლაში კადრების/მასწავლებლების მოზიდვა/მიღება/შერჩევა და ახალი თანამშრომლის სოციალიზაცია.

ადგილზე ვიზიტის დროს შესწავლილი იქნა სკოლის მიერ გამოცემული ბრძანებები, სადაც სკოლას ასახული ჰქონდა ვაკანსიის შესახებ ბრძანებები. პედაგოგებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა ყველა დასაქმების მსურველს თანაბარ პირობებში აყენებდა და იცავდა კონკურსით განსაზღვრულ ეტაპებს.

სკოლას 2023-2024 სასწავლო წლისათვის სასწავლო პროცესის წარმართვისათვის, 20 თანამშრომელი. აქედან დაწყებით და საბაზო საგანმანათლებლო პროგრამას, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, ახორციელებს 13 მასწავლებელი. აქედან 3 უსტატუსო მასწავლებელი, 8 უფროსი მასწავლებელი 1 წამყვანი მასწავლებელი და 1 პრაქტიკოსი სპეც. მასწავლებელი. სკოლის დირექტორთან, როგორც ჭადრაკის მასწავლებელთან არ არის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება, როგორც ირკვევა შრომითი ხელშეკრულებების რეგისტრაციის წიგნიდან. სკოლას ჰყავს შემდეგი ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი: დირექტორი, 1 ბუღალტერი, 1 საქმისმწარმოებელი, 1 სპეციალური მასწავლებელი, 1 ექიმი, 2 დარაჯი, 1 დამლაგებელი.

მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები. ყველა ხელშეკრულება შედგენილია საქართველოს ორგანული კანონის „შრომის კოდექსთან“ შესაბამისობაში. ხელშეკრულებები ხელმოწერილია და დამოწმებული სკოლის ბეჭდით. ასევე რეგისტრირებულია შესაბამის რეგისტრაციის ჟურნალში, სადაც დარღვეულია კალენდარული ქრონოლოგია, ხელშეკრულებებში ყველა სავალდებულო პუნქტთან ერთად, დეტალურადაა განსაზღვრულია თითოეული დასაქმებულთა უფლება-მოვალეობები. ხელშეკრულების შინაარსს წარმოადგენს: ზოგადი დებულებები და მოვალეობები, შვებულების მიცემის წესი, სამუშაო დრო და დასვენების დრო, ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი, მხარეთა პასუხისმგებლობის წესი, ხელშეკრულებების მოქმედების ვადა, მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერა, სტატუსის მიხედვით უფროსი და წამყვანი მასწავლებლების ხელშეკრულების საგანი და მათი უფლება-მოვალეობები.

პირად საქმეების შესწავლით დასტურდება, მასწავლებლის პირად საქმეებში განთავსებულია კვალიფიკაციისა და სტატუსების მინიჭების შესახებ დოკუმენტაცია. ყველა მასწავლებელს აქვს ნასამართლეობის შესახებ ცნობა, ერთ მასწავლებელს მათ შორის ასევე აქვს

სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ცნობა და ნასანართლეობის შესახებ ცნობა.

სკოლაში დასაქმებულ პირებს არა აქვთ:

- ცნობა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის;
- ცნობა „უფლების ჩამორთმევის შესახებ“;

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რის შესაბამისადაც ცნობებს, სკოლა წარმოადგენს 2023 წლის 14 დეკემბრამდე.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 ივლისის N463 დადგენილების საფუძველზე და ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება/სკოლაში დასაქმება/საქმიანობა ეკრძალება სქესობრივ დანაშაულზე და განზრახ დანაშაულისათვის ნასანართლე პირს. ასევე საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 ივლისის N463 დადგენილების საფუძველზე სკოლაში დასაქმებული პირი ვალდებულია წარმოადგინოს ცნობა „უფლების ჩამორთმევის შესახებ“.

შესაბამისად, „პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით“ ინდიკატორი 3.1.2.3 მეტწილად დაკმაყოფილებულია.

#### 4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;

სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ წაჩხურას საჯარო ადგილზე ვიზიტის დროს გადამოწმდა პერსონალის პირადი საქმეები და შრომითი ხელშეკრულებები. სკოლას შრომითი ხელშეკრულებები აქვს გაფორმებული ყველა დასაქმებულ პერსონალთან, ერთადერთი სკოლის დირექტორთან როგორც ჰადრაკის მასწავლებელთან არ არის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება, **შრომითი ხელშეკრულებებში გათვალისწინებულია** საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის №174/ნ ბრძანების და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №959 „საჯარო სკოლის დირექტორსა და მასწავლებელს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების სავალდებულო პირობების დამტკიცების შესახებ“ მოთხოვნები.

სკოლაში 2023-2024 სასწავლო წლისათვის სასწავლო პროცესის წარმართვისათვის, ჰყავს 20 თანამშრომელი. აქედან დაწყებით, საშუალო და საბაზო საგანმანათლებლო პროგრამას, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, ახორციელებს 13 პედაგოგი. აქედან 4 მასწავლებელი არის უსტატუსო მასწავლებელი (მათი განმარტებით ვაკანსიის შევსებამდე) და 1 წამყვანი მასწავლებელი. სკოლას ჰყავს შემდეგი ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი: დირექტორი, 1 ბუღალტერი, 1 საქმისმწარმოებელი, 1 სპეციალური მასწავლებელი, 1 ექიმი, 2 დარაჯი, 1 დამლაგებელი. ბიბლიოთეკარის ფუნქცია შეთავსებული აქვს სკოლის მასწავლებელს, სკოლაში გაფორმებულია შემდეგი კატეგორიის შრომითი ხელშეკრულებები: უფროსი მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულება; წამყვანი მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულება; უსტატუსო მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულება. ხელშეკრულებებში გათვალისწინებულია კანონმდებლობით განსაზღვრული წამყვანი მასწავლებლებისთვის დამატებითი ფუნქციები.



სკოლის პერსონალის პირად საქმეების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ:

ყველა მასწავლებელს პირად საქმეებში წარმოდგენილი აქვს შემდეგი დოკუმენტაცია:

- ა) განცხადება;
- ბ) CV;
- გ) პირადობის მოწმობის ასლი;
- დ) ნოტარიულად დამოწმებული დიპლომის ასლი;

ვიზიტის პერიოდში წარმოდგენილი შრომითი ხელშეკრულებების, კონკურსის გამოცხადების ბრძანებების, მასწავლებლის შესარჩევად ღია და შიდა კონკურსის ჩატარების წესის შესახებ ბრძანების, პერსონალის პირადი საქმეების დათვალიერებით დასტურდება, რომ პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ ნორმებსა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

**შესაბამისად, „პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას“ ინდიკატორი 3.1.2.4 დაკმაყოფილებულია.**

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს

სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ წაჩხურას საჯარო სკოლაში პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს, რაც დასტურდება პედაგოგიური საბჭოს, სამეურვეო საბჭოს და სხვა სტრუქტურული ორგანოების ოქმებით. სკოლის პერსონალთან გასაუბრებიდან ჩანს, რომ ისინი ჩართულნი არიან და მონაწილეობენ სხვადასხვა გადაწყვეტილებების მიღების პროცესსა და პრობლემების მოგვარებაში. კათედრის ფარგლებში და კათედრებს შორის არის ეფექტური თანამშრომლობა. სკოლის თანამშრომლები ჩართული არიან თანამშრომელთა შერჩევის პროცედურებშიც. სკოლის პედაგოგები ინტერვიუების დროს საუბრობდნენ ურთიერთთანამშრომლობით წარმართულ კათედრის სხდომებზე, ურთიერთდასწრებებზე, განხორციელებული პროექტებზე და ა.შ. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ თანამშრომლებს ეძლევათ გარკვეული თავისუფლება, შეუძლიათ დამოუკიდებლად მოქმედება, გადაწყვეტილების მიღება და მასზე პასუხისმგებლობის აღება. მონაწილეობით ორგანიზაციულ კულტურაზე დაყრდნობით სკოლაში ხორციელდება ეფექტური კომუნიკაცია, მოსმენა, ურთიერთპატივისცემა და უკუკავშირი.

**შესაბამისად, „პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს“ ინდიკატორი 3.1.2.5 დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი

სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ წაჩხურას საჯარო სკოლის მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად დასტურდება, რომ სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების გამოცდილება. სკოლა ხელმძღვანელობს შინაგანაწესის მიხედვით, სადაც მოცემულია წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გამოცდილების გაზიარების მექანიზმი.

სკოლის შინაგანაწესში თანამშრომელთა წახალისების გამჭვირვალე სისტემაა მოცემული:

- ა) მადლობის გამოცხადება;
- ბ) საპატიო სიგელით დაჯილდოება;
- გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება;
- დ) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა.

სკოლამ ასევე წარმოადგინა სკოლის დირექტორის 07.09.2023 წლის ბრძანება N2-30, „სკოლის საპრემიო ფონდის დებულების, ფასიანი საგნობრივი წრეების დებულების, უსაფრთხოების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დებულები, სადამრიგებლო მუშაობის დებულების დამტკიცების შესახებ“ სადაც ასევე აღწერილია წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმები.

პედაგოგებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მიზნით იყენებს სკოლის საინფორმაციო დაფას, სოციალურ ქსელებს.

შესაბამისად, „სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი“ ინდიკატორი 3.1.2.6 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- შინაგანაწესი
- სკოლის დირექტორის ბრძანება N2-30, „სკოლის საპრემიო ფონდის დებულების, ფასიანი საგნობრივი წრეების დებულების, უსაფრთხოების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დებულები, სადამრიგებლო მუშაობის დებულების დამტკიცების შესახებ“
- სკოლის დირექტორის 07.09.2023 წლის ბრძანება N 2-26 „პერსონალის შერჩევისა და ადაპტაცია-ორიენტაციის პროცესის დამტკიცების შესახებ,
- სკოლის დირექტორის N 2-13 ბრძანება, „სკოლაში ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ“
- დასაქმებულთა პირადი საქმეები
- კონკურსის მასალები

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.



- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

### 3.2. პერსონალის განვითარება

#### 3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;

სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ წაჩხურას საჯარო სკოლას აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები; სკოლაში არსებობს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, სკოლამ ასევე დირექტორის 07.09.2023 წლის ბრძანება N 2-15 „ ხარისხის უზრუნველყოფის დამტკიცების შესახებ“ და ასევე სკოლის დირექტორის 06.09.2023 წლის ბრძანება 2-13 „ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა. გასაუბრებიდან ირკვევა , რომ კათედრის წევრებიც ესწრებიან ერთმანეთს და აძლევენ შესაბამის უკუკავშირს, რომელთა გათვალისწინებაც ხდება მასწავლებელთა მიერ შემდგომ მუშაობაში.სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმის მიხედვით ერთერთი ძირითადი სტრატეგიული მიმართულებიდან ამოცანაა მასწავლებელთა პროფესიული ზრდის ხელშეწყობა. საჯარო სკოლას ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებული აქვს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ამოცანა, რაც შემდეგ აქტივობებს მოიცავს : მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გამოცხადებული საგნობრივი ტრენინგების შესახებ ინფორმაციის მიწოდება და მონაწილეობის ხელშეწყობა და ასევე ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის მიერ გაკვეთილებზე დასწრება და მასწავლებლებისათვის უკუკავშირის გაზიარება, კოლეგების ურთიერთდასწრება და საუკეთესო პრაქტიკის ერთმანეთისათვის გაზიარება.

**შესაბამისად, „სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები“ ინდიკატორი**

#### 3.2.1.1 დაკმაყოფილებულია.

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;



სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ წაჩხურას საჯარო პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად: სკოლის დირექტორის 06.09.2023 წლის ბრძანებით (N2-13) დამტკიცებულია დოკუმენტი „სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ წაჩხურას საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესახებ“. დოკუმენტში საუბარია რომ სკოლა ზრუნავს პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. სკოლის მასწავლებლები ესწრებიან ერთმანეთს, აწყობენ მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფის შეხვედრებს, რაც დასტურდება მათ მიერ წარმოდგენილი შეხვედრების ოქმებით და ასევე სკოლაში ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლის თანამშრომელთა პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე, უკუკავშირების, კათედრების ანალიზებისა და მასწავლებელთა თვითშეფასების საფუძველზე, იკვეთება ძლიერი და გასაუმჯობესებელი მიმართულებები, რის შედეგადაც ხდება პერსონალის შესაბამისი განვითარების პროცესის დაგეგმვა. ადამიანური რესურსების განვითარების მიზნით მიმდინარეობს მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება, თვითგანვითარების ხელშეწყობა, შეძენილი ცოდნის გამოყენების უნარის გამოვლენა, რაც გამოიხატება: დაგეგმილი და განხორციელებული პროექტებით; კათედრების ერთობლივად დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობებით. სკოლამ წარმოადგინა სხვადასხვა პროექტების ამსახველი დოკუმენტაცია.

შესაბამისად, „პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად“ ინდიკატორი 3.2.1.2 დაკმაყოფილებულია.

### 3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;

სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ წაჩხურას საჯარო სკოლაში ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას, სკოლას აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, რაც უზრუნველყოფს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას და ასევე ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, მართვის პოლიტიკა შექმნილია “მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის” მოთხოვნების გათვალისწინებით. კარიერული წინსვლის სქემაში ჩართვა სკოლაში მასწავლებლებისთვის ნებაყოფლობითია, მაგრამ სასწავლო წლის დასაწყისში მასწავლებლები ადგენენ კურიკულუმებს, მათ ევალებათ საგნობრივი სასწავლო გეგმის თითოეული თემის ფარგლებში სასწავლო პროცესის წარმართვა და განხორციელებული საქმიანობის რეფლექსია; მასწავლებლები საგაკვეთილო დაკვირვებების შედეგების ანალიზის საფუძველზე გამოკვეთავენ საჭიროებებს; ესწრებიან საჭიროებებიდან გამომდინარე სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ან დადგენილი წესის შესაბამისად აღიარებული ტრენინგ კურსებს; თანამშრომლობენ სკოლის დირექციასთან და ხარისხის მართვის ჯგუფთან - განიხილავენ გაკვეთილებზე დასწრების შედეგად გამოვლენილ საჭიროებებს. პედაგოგები ესწრებიან ტრენინგებს, სამუშაო შეხვედრებს, ქოუჩინგებს. მასწავლებლები ერთმანეთს ესწრებიან გაკვეთილებზე და იყენებენ „კრიტიკული მეგობრის ფორმატი“ მეთოდს, რის საშუალებითაც ერთმანეთს აძლევენ განმავითარებელ უკუკავშირს. მასწავლებლები ერთმანეთისგან მიღებულ უკუკავშირს იყენებენ მომავალი საქმიანობის დაგეგმვისას. სკოლამ წარმოადგინა მასწავლებელთა სამუშაო შეხვედრების ოქმები.

შესაბამისად, „სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას“ ინდიკატორი 3.2.1.3. დაკმაყოფილებულია .

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;

სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ წაჩხურას საჯარო სკოლის პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან. სკოლამ წარმოადგინა დირექტორის 07.09.2023 წლის ბრძანება 2-26 სკოლის პერსონალის შერჩევისა და ადაპტაციის შესახებ. სადაც გაწერილია ახალი თანამშრომლის მიღების შემთხვევაში, როგორ ხდება არჩეული კადრის სოციალიზაცია, საკუთარ ვალდებულებებსა და სუბორდინაციაში გარკვევა. მასწავლებლებს საშუალება აქვთ იმუშაონ საგნობრივი სტრუქტურიდან გამომდინარე შესაბამის გარემოში. ხელმისაწვდომია კომპიუტერული ლაბორატორია და ბიბლიოთეკისთვის განკუთვნილი სივრცე, ექიმის კაბინეტი, კვების ოთახი. სკოლის ეზოში შექმნილია შესაბამისი სივრცე. სკოლა უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო საქმიანობისათვის საჭირო შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით, რომელიც ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის.

შესაბამისად, „სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან“ ინდიკატორი 3.2.1.4. დაკმაყოფილებულია.

5.წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები;

სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ წაჩხურას საჯარო სკოლის დირექციასთან და პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. სკოლის თანამშრომლები პერსონალის საჭიროებს აფიქსირებენ ზეპირსიტყვიერად. სკოლის შინაგანაწესში გაწერილია პერსონალის წახალისების მექანიზმი, სადაც გაწერილია წახალისების ფორმები. სკოლა მცირე ბიუჯეტისაა, სკოლაში არ არის პრემიების გაცემის პრაქტიკა. დირექცია იყენებს შექების, საჯარო მადლობის გამოცემის პრაქტიკას.

შესაბამისად, „წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები“ ინდიკატორი 3.2.1.5 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი
- სამოქმედო გეგმა
- სტრატეგიული გეგმა



- კათედრების ოქმები
- მსჯ შეხვედრის ოქმები
- სკოლის დირექტორის 07.09.2023 წლის ბრძანება 2-26 სკოლის პერსონალის შერჩევისა და ადაპტაციის შესახებ.
- სკოლის დირექტორის 06.09.2023 წლის ბრძანებით (N2-13) დამტკიცებული დოკუმენტი „სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ წაჩხურას საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესახებ“.
- დირექტორის 07,09,2023 წლის ბრძანება N 2-15 „ ხარისხის უზრუნველყოფის დამტკიცების შესახებ“

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

### 3.3. პროცესის მართვა

#### 3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;

სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ წაჩხურას საჯარო სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად. სკოლამ წარმოადგინა ხარისხის უზრუნველყოფის

მექანიზმების დოკუმენტი. დოკუმენტში აღწერილია ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურები, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირები და მათი ფუნქციები, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები. დოკუმენტიდან ჩანს რომ სკოლაში ხარისხის უზრუნველყოფა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად.

**შესაბამისად, „სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად“ ინდიკატორი 3.3.1.1 დაკმაყოფილებულია.**

2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;

სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ წაჩხურას საჯარო სკოლას საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები აქვთ იდენტიფიცირებული. გასაუბრების დროს დირექციამ, პედაგოგებმა, საქმისმწარმოებელმა, ბიბლიოთეკარის ფუნქციათა შემსრულებელმა, ბუღალტერმა, უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელმა პირმა აღწერეს სკოლაში მიმდინარე სხვადასხვა პროცესი: სტრატეგიული დაგეგმვა, წლიური დაგეგმვა, ხარისხის უზრუნველყოფა, კურიკულუმის განვითარება და სასწავლო პროცესის ორგანიზება. განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმოება, მოსწავლის სერვისების განხორციელება, საბიბლიოთეკო სერვისების განხორციელება, ფინანსური რესურსებს მართვა, ადამიანური რესურსების მართვა, მატერიალური რესურსის მართვა, უსაფრთხოების უზრუნველყოფა და წესრიგის დაცვა, საზოგადოებასთან ურთიერთობა, საქმისწარმოება, პროფესიული განვითარება, კარიერული წინსვლა.

**შესაბამისად, „იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები“ ინდიკატორი 3.3.1.2 დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა

სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ წაჩხურას საჯარო სკოლის თანამშრომლებს, მოსწავლეებს/მშობლებს და მათ კანონიერი წარმომადგენლებს სკოლა უფლებას აძლევს გაასაჩივრონ ცალკეული გადაწყვეტილებები. საჩივრის დაფიქსირების, მიღებისა და განხილვის სისტემა სკოლას გაწერილი აქვს შინაგანაწესში. სკოლაში შემოსული საჩივარი ტარდება რეგისტრაციაში და განსახილველად გადაეცემა დისციპლინარულ კომიტეტს შემდეგი რეაგირებისათვის, აღნიშნული პროცესი სკოლაში მიმდინარეობს ობიექტურობის, გამჭვირვალობისა და სამართლიანობის პრინციპის დაცვით. სკოლამ წარმოადგინა შინაგანაწესი. სკოლამ ასევე წარმოადგინა დოკუმენტი დირექტორის 06.10.2013 წლის ბრძანება N 2-56,, სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის წაჩხურას მარტვილის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლაში გასაჩივრების დეტალების პროცედურების დამტკიცების შესახებ”, სადაც გაწერილია გასაჩივრების პროცედურები. სკოლას არ აქვს სააპელაციო კომიტეტების შექმნის პრაქტიკა. სკოლას რჩევა უზრუნველყოს სასკოლო საზოგადოების ინფორმირება როგორც მის

უფლებებსა და მოვალეობებზე, ასევე, გადაწყვეტილებების გასაჩივრების როგორც შიდა სასკოლო, ასევე სკოლის გარეთ არსებულ მექანიზმებზე და ასევე სკოლის მიერ შემუშავებული დოკუმენტი ატვირთოს ვებ. გვერდზე.

**შესაბამისად, „სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა“ ინდიკატორი 3.3.1.3 დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ წაჩხურას საჯარო სკოლის შინაგანაწესით უზრუნველყოფილია პერსონალის კანონიერი უფლებების დაცვა. დოკუმენტში განსაზღვრულია მათი უფლებები, ვალდებულებები, გასაჩივრების წესი. სკოლას ჰყავს დისციპლინარული კომიტეტი, რომელიც მოსწავლეებისა და პერსონალის უფლებების დაცვაზე პასუხისმგებელია. სკოლამ ასევე წარმოადგინა სკოლის დირექტორის 08.09.2023 წლის ბრძანება N19 „სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის წაჩხურას საჯარო სკოლაში მოსწავლის პერსონალის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დამტკიცების შესახებ“, რომელიც ატვირთულია სკოლის ვებ. გვერდზე

**შესაბამისად, „სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები“ ინდიკატორი 3.3.1.4 დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის შინაგანაწესი.
- სკოლის დირექტორის 08.09.2023 წლის ბრძანება N19 „სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის წაჩხურას საჯარო სკოლაში მოსწავლის პერსონალის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დამტკიცების შესახებ“
- სკოლის დირექტორის 06.10.2013 წლის ბრძანება N 2-56 „მარტვილის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლაში გასაჩივრების დეტალების პროცედურების დამტკიცების შესახებ
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დოკუმენტი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება



### 3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;

სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ წაჩხურას საჯარო სკოლა სასკოლო საზოგადოებასთან კომუნიკაციისთვის იყენებს ელექტრონულ ჟურნალს, დამრიგებელთა და მასწავლებელთა სოციალურ გვერდებს, ვებ.გვერდს

პედაგოგებთან, საქმისმწარმოებელთან ინტერვიუებამ აჩვენა, რომ სკოლა სოციალურ ჯგუფებში ავრცელებს ინფორმაციას სასწავლო პროგრამების, სასწავლო რეჟიმის, არაფორმალური განათლების აქტივობების შესახებ. სკოლა მცირეკონტიგენტიანია რაც განაპირობებს სასკოლო საზოგადოების ინფორმირების მაღალ ხარისხს, ასევე მაღალი პროცენტით ხდება მათგან უკუკავშირის მიღება და რეაგირება

**შესაბამისად, „სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები“ ინდიკატორი 3.3.2.1 დაკმაყოფილებულია.**

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა;

სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ წაჩხურას საჯარო სკოლას ჰყავს სამეურვეო საბჭო, სკოლის დისციპლინარულ კომიტეტი, მრჩეველთა საბჭო, პედაგოგიური საბჭო და მოსწავლეთა თვითმმართველობა.

აღნიშნული სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლებთან გასაუბრებამ ცხადყო, რომ სასკოლო საზოგადოება აქტიურად არის ჩართული სასკოლო ცხოვრებაში.

მშობელთა ინფორმირება ხდება დამრიგებლის მიერ ინდივიდუალური შეხვედრის დროს, სატელეფონო ზარის საშუალებით, სოციალური ქსელების მეშვეობით. სკოლის მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აქვს შესაძლებლობა მოვიდეს სკოლაში ყოველ პარასკევს 13:00 საათიდან 17:00 საათამდე, შეხვედეს მასწავლებლებს და მიიღონ ინფორმაცია სკოლაში მათი შვილების აკადემიური მოსწრების შესახებ.

მშობლები აქტიურად არიან ჩართულნი სასკოლო ცხოვრებაში. ისინი შეძლებისდაგვარად დახმარებას უწევენ კლასს ღონისძიებების ორგანიზებასა და განხორციელებაში.



სკოლის თვითმართელობა მონაწილეობს სკოლის მართვაში. ფორმალური და არაფორმალური განათლების კუთხით ისინი სხვადასხვა აქტივობას ახორციელებენ.

შესაბამისად, „უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა“ ინდიკატორი 3.3.2.2 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრუქტურული ერთეულების დებულებები.
- სკოლის მიერ განხორციელებული პროექტების ამსახველი მასალები
- პედ.საბჭოს ოქმები
- სამეურვეო საბჭოს ოქმები

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

### 3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

#### 3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას

სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ წაჩხურას საჯარო სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას, სკოლამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის 08.09.2023 წლის ბრძანება N 2-47,, სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის წაჩხურას საჯარო სკოლაში ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმების დამტკიცების შესახებ, დოკუმენტში გაწერილია სამედიცინო დახმარების, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის დაცვის მექანიზმები. სკოლის შენობის დაცვას უზრუნველყოფს დარაჯი . სკოლამ წარმოდგენილია დარაჯთან გაფორმებული ხელშეკრულება. სკოლა აღჭურვილია კანონმდებლობით დადგენილი პარამეტრების შესაბამისი ვიდეოსათვალთვალო სისტემით, სკოლამ ვერ წარმოადგინა მიღება-ჩაბარების აქტები თუმცა აღნიშნული დასტურდება ვიზუალური დათვალიერებით. ვიდეო კამერების საშუალებით ხდება სკოლის ტერიტორიის დისტანციური დათვალიერება, რაც შესაძლებლობას იძლევა ეფექტიანად მოხდეს ნებისმიერი ფიზიკური უთანხმოების თუ ჯანმრთელობის/სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველი ქმედების პრევენცია. სკოლის დირექტორის 06.10.2023 წლის N2-54 ბრძანებით დანიშნული ყავს უსაფრთხოებასა და ვიდეო სათვალთვალო სისტემის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც გადამზადებული არ არის, ასევე უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლები არიან მორიგე მასწავლებლები. სკოლას არ ჰყავს მანდატური.

სკოლას დარეგულირებული აქვს მოსწავლეთა გაკვეთილზე დასწრების კონტროლი. დროულად ხდება არმყოფი მოსწავლის იდენტიფიცირება და არყოფნის საფუძვლის მოძიება. დამრიგებლები მოსწავლეთა სკოლაში გამოუცხადებლობის შემთხვევაში უკავშირდებიან მშობლებს/კანონიერ წარმომადგენელს . სკოლა არ უშვებს მოსწავლის სკოლიდან გასვლას, უნებართვოდ/კანონიერ წარმომადგენელთან წინასწარი შეთანხმების გარეშე, მისი საგაკვეთილო პროცესის დასრულებამდე.

კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად სკოლაში განთავსებულია **ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი და ევაკუაციის გეგმა**. სკოლამ წარმოადგინა სახანძრო უსაფრთხოების აღჭურვილობა (ცეცხლმაქრები, დეტექტორები, საკვამურები). ვიზუალური დათვალიერებით .სკოლის დირექტორთან გასაუბრებით ირკვევა , რომ მას არა აქვს შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტები და არც იმის დამადასტურებელი დოკუმენტი სკოლის რეაბილიტაციის დროს მოხდა თუ არა . ჭერის შესაბამისი წესით დამუშავება. სკოლის დირექტორთან შესაბამისი დოკუმენტაცია არ წარმოუდგენია რეაბილიტაციაზე პასუხისმგებელ პირებს.

სკოლას შემუშავებული აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც შეთანხმებული არ არის უფლებამოსილ ორგანოებთან

სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ექიმის არსებობას სკოლაში. **სკოლაში არის სამედიცინო კაბინეტი, რომელიც აღჭურვილის შესაბამისი ინვენტარით გარდა სამედიცინო შირმისა**. სკოლას ჰყავს სკოლის ექიმი. წარმოდგენილია სკოლის ექიმთან გაფორმებული ხელშეკრულება. სკოლას შემუშავებული აქვს **უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით განსახორციელებელი პრევენციული ღონისძიებები**: მოსწავლეების უფლებებისა და წესების გაცნობა, თვალსაჩინო ადგილასაა გამოკრული სამინისტროს, ცხელი ხაზის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ნომრები. კლასის დამრიგებლებს აქვთ ვალდებულება ზემოთ აღნიშნული ტელეფონის ნომრებზე/უწყებებზე ინფორმაცია მიაწოდონ მოსწავლეებს/მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს.

სკოლას არა აქვს მიღებული დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ.

სკოლამ ვიზიტის პერიოდში არ წარმოუდგენია შენობის ტექნიკური მდგომარეობისა და ექსპლუატაციაში შესვლის დასკვნა აღნიშნულის შესახებ არც მიწერილობა არ იყო ვიზიტის პერიოდში გაკეთებული.

სკოლამ წარმოადგინა საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფინდთან გაფორმებული ქონების/ობიექტის მიღება - ჩაბარების აქტი.

სკოლას ვიზიტის პერიოდში არ წარმოუდგენია ინფორმაცია კანონმდებლობის შესაბამისი შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აყვანასთან დაკავშირებით.

სკოლა უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებულ საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმას, დასკვნა/მიწერილობას შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ და შენობის მდგომარეობის დასკვნას სკოლა წარმოადგენს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერილ ვადებში 2024 წლის 8 ნოემბრამდე.

**შესაბამისად, „სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას“ ინდიკატორი 3.4.1.1 მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;

სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ წაჩხურას საჯარო სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას. სკოლას აქვს მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც არეგულირებს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უცხო პირთა გადაადგილებას. მიმდინარეობს შესასვლელი კარის მუდმივი მეთვალყურეობა, აკონტროლებს შემოსულ პირებს. სკოლაში გამოვლენილ დარღვევაზე სკოლის მიერ ხორციელდება დროული და ეფექტიანი რეაგირების ღონისძიების გატარება. სკოლას შემუშავებული აქვს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები. სკოლის ტერიტორიაზე სასწავლო პერიოდში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს სკოლის დირექცია და მორიგე მასწავლებლები. სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო. სკოლას დამტკიცებული აქვს უსაფრთხოების მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა დებულება.

**შესაბამისად, „სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას“ ინდიკატორი 3.4.1.2 დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;

სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ წაჩხურას საჯარო სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს; სკოლას ჰყავს რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი განსაზღვრული, რომელის საჭიროების შემთხვევაში მოსწავლეებს რეფერირების გზით სთავაზობს მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგიურ მომსახურებას. აღნიშნული პრაქტიკა ამ ეტაპისთვის სკოლას არა აქვს. დამრიგებლების მიერ წარმოდგენილი სადამრიგებლო პროგრამით დასტურდება რომ სკოლაში ზრუნავენ მოსწავლეთა ფსიქო-ემოციურ განვითარებაზე. სკოლას შემუშავებული აქვს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები.

**შესაბამისად, „სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს“ ინდიკატორი 3.4.1.3 დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;

სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ წაჩხურას საჯარო სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას; სკოლამ წარმოადგინა სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ წაჩხურას სკოლის სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი, სადაც გაწერილია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის პროცედურები. სკოლას ჰყავს სკოლის ინფრასტრუქტურის დასუფთავებაზე პასუხისმგებელი პირები, სკოლას ჰდამლაგებელი. სკოლა ყოველდღიურად ლაგდება სველი წესით. დამლაგებლების მიერ ხდება სველი წერტილების, კიბის სახელურების სველი წესით დამუშავება. ფოიეები, საკლასო ოთახები და სხვა სასწავლო და დამხმარე ოთახები ლაგდება მეცადინეობების დამთავრების შემდეგ, გაღებული ფანჯრების პირობებში, ირეცხება იატაკი, იწმინდება მტვრიანი ზედაპირები (მაგიდები, სკამები, ფანჯრის რაფები, გამათბობლები და სხვა).

**შესაბამისად, „სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას“ ინდიკატორი 3.4.1.4 დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;

სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ წაჩხურას საჯარო უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების პერსონალური მონაცემების დაცვას. ინტერვიუს შედეგად დასტურდება, რომ სკოლაში არის სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ინტერნეტი. სკოლაში გამოყენებული ნებისმიერი პროგრამა ლიცენზირებულია, მოწოდებულია სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ. სკოლა მუშობს eFlow, eschool ის სისტემებში. პირადი ინფორმაცია არ ზიარდება სოციალურ ქსელში და საჯაროდ. მონაცემთა კომპიუტერული პროგრამებით დამუშავებაზე (eschool.) გამოყოფილია პასუხისმგებელი პირი (საქმისმწარმოებელი), რომელიც ახორციელებს ინფორმაციის შეტანას, შეცვლას, წაშლას, მოძიებას. მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გაცნობა მშობლისათვის ხდება ელექტრონული საშუალებით. სკოლას აქვს პერსონალური დაცვის მექანიზმები. წარმოდგენილია შესაბამისი დოკუმენტიც. სკოლის დირექტორის 07.09.2023 წლის N2-16 ბრძანება „სკოლაში პერსონალური მონაცემების დამტკიცების შესახებ“ წარმოდგენილი დოკუმენტით დასტურდება, რომ სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ წაჩხურას სკოლაში უზრუნველყოფილია პერსონალური მონაცემების დაცვა. დოკუმენტით იხსნება როგორ უნდა მოხდეს პერსონალური მონაცემების დამუშავება რათა იყოს უსაფრთხო.

**შესაბამისად, „სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას“ ინდიკატორი 3.4.1.5 დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები

ინტერვიუს შედეგად დასტურდება, რომ სკოლა ახდენს მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვას სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალური ინფორმაციის დაცვის მექანიზმები. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისი დოკუმენტაცია. დოკუმენტში მოცემულია პერსონალური მონაცემების დამუშავების სტრატეგიები და სასკოლო საზოგადოების უფლებები პერსონალური ინფორმაციის თაობაზე.

**შესაბამისად, „სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები“ ინდიკატორი 3.4.1.6 დაკმაყოფილებულია.**

7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის

სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ წაჩხურას საჯარო სკოლაში ფუნქციონირებს უსაფრთხოების სხვადასხვა მექანიზმები. სკოლას შემუშავებული აქვს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები; ფიზიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები. სკოლაში გამოყოფილია უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, სკოლა აღჭურვილია ვიდეოკამერებით. სკოლაში დაცულია სახანძრო უსაფრთხოება. სკოლას ჰყავს ექიმი. სკოლას აქვს მასწავლებელთა მორიგეობის პრაქტიკა. მორიგე მასწავლებლები ზრუნავენ მოსწავლეთა უსაფრთხოებაზე.

შესაბამისად, „სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის“ ინდიკატორი 3.4.1.7 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის დირექტორის 08.09.2023 წლის ბრძანება N 2-47., სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის წაჩხურას საჯარო სკოლაში ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმების დამტკიცების შესახებ;
- სკოლის დირექტორის 06.10.2023 წლის N2-54 ბრძანებით დანიშნული უსაფრთხოებასა და ვიდეო სათვალთვალო სისტემის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირი;
- ჰყავს რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი განსაზღვრის შესახებ ბრძანება;
- სკოლის სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი,
- სკოლის დირექტორის 07.09.2023 წლის N2-16 ბრძანება „სკოლაში პერსონალური მონაცემების დამტკიცების შესახებ“
- ხელშეკრულება ექიმთან, დამლაგებლებთან, დარაჯთან;
- 

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება



### 3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

#### 3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შესაბამისად არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

*ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტიგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.*

#### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ წაჩხურას საჯარო სკოლას ავტორიზაციის განაცხადი შევსებული აქვს 60 მოსწავლეზე. სკოლა არის ახალი აშენებული და მიღება ჩაბარების აქტით, რომელიც გაფორმებულია, მუნიციპალური განვითარების ფონდთან დასტურდება, რომ სკოლა გათვლილია 60 მოსწავლეზე, სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით; მოწესრიგებულია ეზო, გარე სპორტული მოედანი, ეზოს ღობე, შემოსასვლელი ჭიშკარი. სკოლამ ვერ წარმოადგინა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, ვინაიდან სკოლა ახალი აშენებულია, მოხდა ძველი სკოლის დემონტაჟი და საკადასტრო აზომვით ნახაზში შედის ცვლილება, აღნიშნული ცვლილების მიზნით განაცხადი შეტანილია საჯარო რეესტრში. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და შენობა-ნაგებობების სქემა წარმოდგენილი იქნება სკოლის მიერ შემუშავებულ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერილ ვადებში 2023 წლის 20 დეკემბრამდე.

მატერიალური რესურსის მინიმალური რაოდენობა შესაბამისია მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობისა. სკოლას ვიზიტისას წარაუდგინა ახალი მერხების მიღება-ჩაბარების აქტები, რომელიც გადმოეცათ შ.პ.ს. „ოთ-მა ფურნიტურეს“ მხრიდან, საიდანაც ირკვევა, რომ სკოლას აქვს მეორე დონის 20, მესამე დონის 20 და მეოთხე დონის 20 მერხი და სკამი. ვიზუალური დათვალიერებითაც დასტურდება, რომ



ყოველ მოსწავლეზე სკოლაში არის ინდივიდუალური მერხი და სკამი ( 60 ) , მინიმუმ 1 დაფა ყოველ საკლასო ოთახზე. კომპიუტერულ ლაბორატორიაში განთავსებულია სასწავლო მიზნებისთვის 5 კომპიუტერი მათ შორის 1 ახალი პერსონალური კომპიუტერი, 6 პროექტორი, კომპიუტერები მუშაობს და აქვს ინტერნეტთან წვდომა.

**შესაბამისად, „სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით“ ინდიკატორი 3.5.1.1 მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

**2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;**

სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ წაჩხურას საჯარო სკოლის ინტერვიუს, ვიზუალური დათვალიერებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები, ბიბლიოთეკა და კომპიუტერული ლაბორატორია ერთ სივრცეშია, სკოლას არა აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, მაგრამ აქვს სივრცე სადაც ეს ლაბორატორია შეიძლება განთავსდეს, არის სამასწავლებლო, არ არის სპორტული დარბაზი, მაგრამ არის გარე სპორტული მოედანი, არ არის რესურსოთახი, მაგრამ სკოლასი გამოყოფილი სივრცე, არის სველი წერტილები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. მოსწავლეებისათვის და მასწავლებლებისთვის სკოლაში არსებობს რეკრეაციული სივრცე (დერეფნები, ეზო), კვები ოთახი, სკოლის ეზო კეთილმოწყობილია და იძლევა შესაძლებლობას მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან კომუნიკაციისთვის.

**შესაბამისად, „დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის“ ინდიკატორი 3.5.1.2 დაკმაყოფილებულია.**

**3.სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;**

სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ წაჩხურას საჯარო სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს, სასწავლო გარემო პასუხობს შემდეგ კრიტერიუმებს: . სკოლას გააჩნია სპეციალური საჭიროების მქონე პირთათვის ადვილად მისაწვდომი შესასვლელები ეგრეთწოდებული პანდუსი სკოლის შესასვლელში . სპეციალური შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებისთვის არის ადაპტირებული საპირფარეშო; სკოლაში არ ფუნქციონირებს რესურსოთახი თუმცა გამოყოფილია სივრცე სადაც შესაძლებელია სსსმ მოსწავლეებისათვის მომსახურების გაწევა.

**შესაბამისად, „სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს“ ინდიკატორი 3.5.1.3 დაკმაყოფილებულია.**

**4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;**

სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ წაჩხურას საჯარო დირექციასთან და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად დასტურდება, რომ სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. სკოლას აქვს ბიბლიოთეკა და კომპიუტერული ლაბორატორია ერთ სივრცეში, ახალი სპორტული გარე მოედანი, სადაც იმართება სხვადასხვა სახის ღონისძიებები. სკოლას არ ჰყავს ბიბლიოთეკარი, მაგრამ ბიბლიოთეკარის მოვალეობა შეთავსებულია სკოლის მასწავლებლისთვის, რომელიც ჩართულია სასკოლო პროექტებში. სკოლაში არსებული ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მოსწავლეებს და სასკოლო საზოგადოებას განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები, რასაც უზრუნველყოფს სკოლის ეზო, ბიბლიოთეკა, ღია სპორტული მოედანი. სკოლაში არის ინტერნეტი და კომპიუტერული ტექნიკა. სკოლის ეზოში მოწყობილია სივრცე - სადაც მოსწავლეებს შეუძლიათ შეკრება.

**შესაბამისად, „სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას“ ინდიკატორი 3.5.1.4. დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ წაჩხურას საჯარო სკოლის დირექციასთან და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად დგინდება, რომ სკოლა სამინისტროს მიერ გრიფირებული სასკოლო სახელმძღვანელოების ჩამონათვალიდან არჩევანს აკეთებს ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (eschool) საშუალებით შეთავაზებული ავტორ-გამომცემლობების სახელმძღვანელოებიდან. სახელმძღვანელოები ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლისა და მასწავლებლისთვის. სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ელექტრონული რესურსი, სხვადასხვა სახის თვალსაჩინოება, რუკები, პლაკატები, მოდელები, მანიპულატივები, სსსმ მოსწავლისთვის საჭირო საგანმანათლებლო რესურსები.

**შესაბამისად, „სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა)“ ინდიკატორი 3.5.1.5 დაკმაყოფილებულია.** დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სასკოლო სივრცის ამსახველი ფოტოები
- ბიბლიოთეკის წესი
- ბიბლიოთეკარის სარეგისტრაციო ჟურნალები
- სსსმ მოსწავლისთვის რესურსები
- სასკოლო ღონისძიებებისა და პროექტების შესახებ მასალა
- სადამრიგებლო პროგრამები

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

### 3.6. საინფორმაციო რესურსები

#### 3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;

სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ წაჩხურას საჯარო სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას. სკოლაში ფუნქციონირებს კომპიუტერული ლაბორატორია, სკოლამ წარმოადგინა ციფრული განვითარების გეგმა. ვიზუალური დათვალიერებით დასტურდება, რომ კომპიუტერი და პრინტერი განთავსებულია სამასწავლებლოში, ადმინისტრაციისათვის განკუთვნილ ოთახებში. სასწავლო პროცესში პრეზენტაციებისათვის ფართოდაა გამოყენებული პროექტორი, მთელი შენობა დაფარულია wi-fi.

შესაბამისად, „ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას“ ინდიკატორი 3.6.1.1 დაკმაყოფილებულია.

2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად;

სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ წაჩხურას საჯარო სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. სკოლაში ფუნქციონირებს კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც არის საზიარო სივრცე მასწავლებლებისა და მოსწავლეებისათვის. მიღება-ჩაბარებითა და კომპიუტერული ლაბორატორიის ვიზუალური დათვალიერებით დასტურდება, რომ სკოლას აქვს გამართული, ინტერნეტში ჩართული

კომპიუტერების საკმარისი რაოდენობა. ინტერვიუს შედეგად დასტურდება, რომ სკოლაში კომპიუტერებით, პროექტორით და პროექტორის ეკრანის გამოყენებით მიმდინარეობს სხვადასხვა საგაკვეთილო აქტივობები. მთელი შენობა დაფარულია wi-fi.

**შესაბამისად, „ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად“ ინდიკატორი 3.6.1.2 დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- email.mes.gov.ge, eflow.emis.ge. eschool.emis.ge-ზე მიმოწერა
- ვიზუალური დათვალიერება
- მიღება- ჩაბარების აქტები

### 3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;

სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ წაჩხურას საჯარო სკოლამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის 08.09.2023 წლის 2-41 ბრძანება „სკოლის საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ“, რომლის მიხედვითაც საქმის წარმოება უნდა განხორციელდეს როგორც ელექტრონულად, ისე მატერიალურად, რაზეც პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი. ვიზიტისას დადგინდა, რომ სკოლაში ხარვეზებით მიმდინარეობდა გამოცემული აქტების, ხელშეკრულებების აღრიცხვა, კერძოდ მასწავლებელთა ხელშეკრულებების აღრიცხვის ჟურნალში იყო დარღვეული ქრონოლოგიური თანმიმდევრობა, რაც შეეხება აქტების რეგისტრაციას დარღვეული იყო ნუმერაცია, რაც ტექნიკური ხარვეზით იქნა ახსნილი საქმისმწარმოებლის მიერ. რაც გასწორდა სკოლის მიერ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის შესაბამისად. ხდება შემოსული დოკუმენტების ელექტრონული რეგისტრაცია, პერსონალისა და მოსწავლეების პირადი საქმის წარმოება.

სკოლაში ინახება დასაქმებულთა და მოსწავლეთა პირადი საქმეები კანონმდებლობით დადგენილი ვადით. პირად საქმეებში შენახულია კანონით განსაზღვრული დოკუმენტაცია: დასაქმებულის პირადი განაცხადი, CV, პირადობის მოწმობის ასლი, ნოტარიულად დამოწმებული დიპლომის ასლი, სტატუსის შესაბამისი სერტიფიკატი (პედაგოგის შემთხვევაში), ნასამართლეობის ცნობა ყველა მასწავლებელს ჰქონდა, მაგრამ მასწავლებელთა პირად საქმეებში არ იყო ნარკოლოგიური, სქესობრივი თავისუფლებისა და

ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის, უფლების ჩამორთმევის ცნობები, დარაჯისა და დამლაგებლების პირად საქმეებში მოცემულია აღრიცხვის ფურცელი, პირადობის მოწმობის ასლი, პირადი განაცხადი. მოსწავლის პირად საქმეში წარმოდგენილია - დაბადების მოწმობების ასლები, მშობლის განცხადება, მშობლების პირადობის მოწმობის ასლები, ფოტო.

სკოლა აწარმოებს შემოსული და გასული დოკუმენტაციის რეგისტრაციას ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის (e-flow) მეშვეობით. Eflow-ს ბაზაში სკოლას გატარებული აქვს შემოსული და გასული დოკუმენტები. ვიზიტისას დადგინდა, რომ საქმისმწარმოებელი არ ახორციელებს სასკოლო დოკუმენტაციის აღრიცხვასა და რეგისტრაციას. სკოლაში არ არის მატერიალური ჟურნალი, რაც გასწორდა სკოლის მიერ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის შესაბამისად..

**შესაბამისად, „სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;“ ინდიკატორი 3.6.2.1 დაკმაყოფილებულია.**

2.სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა

სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ წაჩხურას საჯარო საჯარო სკოლის მართვაში გამოიყენება საქმისწარმოების/დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა (e-flow). ასევე, დაწესებულება იყენებს მართვის თანამედროვე ტექნოლოგიებს, როგორებიცაა: eschool, office 365, Microsoft Outlook.

**შესაბამისად, „სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა“ ინდიკატორი 3.6.2.2 დაკმაყოფილებულია.**

3.სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;

სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ წაჩხურას საჯარო სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, რომელიც დასტურდება სისტემაში - eschool.emis.ge -თი, სადაც განთავსებულია სრული ინფორმაცია სკოლაში დასაქმებული პირების, მოსწავლეებისა და მათი მშობლების შესახებ.

**შესაბამისად, „სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;“ ინდიკატორი 3.6.2.3 დაკმაყოფილებულია.**

4.სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ წაჩხურას საჯარო სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. სკოლა კანონით დადგენილ ვადებში, ყოველი წლის 10 დეკემბერს eflow.emis.ge. საშუალებით წარუდგენს ანგარიშს საქართველოს პარლამენტს, საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პრემიერ-მინისტრს და „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“-ს.



შესაბამისად, „სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.“ ინდიკატორი 3.6.2.4 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სამეურვეო საბჭოს ოქმი (10 დეკემბრის ანგარიშის შესახებ)
- სამეურვეო საბჭოს ოქმი (ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ)
- საქმისწარმოების წესი
- ანგარიშები შესაბამის ორგანოებთან

### 3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრალობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით

სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ წაჩხურას საჯარო სკოლა საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ახორციელებს სკოლის ვებ გვერდის საშუალებით სკოლას შემოუშავებული აქვ საზოგადოებასთან ურთიერთობის/ კომუნიკაციის წესს, სკოლის დირექტორის ბრძანება N27

**შესაბამისად „სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით“ ინდიკატორი 3.6.3.1 დაკმაყოფილებულია.**

2.სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;

სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ წაჩხურას საჯარო სკოლის პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად დასტურდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას. დაწესებულება არ ავრცელებს შეცდომაში შემყვან ინფორმაციას. ამ გვერდებზე ხდება სხვადასხვა ტიპის ინფორმაციის განთავსება განხორციელებული თუ განსახორციელებელი აქტივობების, ღონისძიებების თაობაზე. განთავსებულია სკოლის შესახებ ინფორმაცია.

**შესაბამისად „სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;“ ინდიკატორი 3.6.3.2 დაკმაყოფილებულია.**

3.საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირის სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;

სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ წაჩხურას საჯარო სკოლის სასკოლო სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუს შედეგად დასტურდება, რომ უკუკავშირის მიღება ხდება მეილის, eflow, teams საგანმანათლებლო პლატფორმის, სკოლის სოციალური ქსელის საშუალებით, ვებგვერდის საშუალებით. შემოსულ ინფორმაციაზე საჭიროების შემთხვევაში ხდება სათანადო რეაგირება. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირის სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

**შესაბამისად „საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირის სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად“ ინდიკატორი 3.6.3.3 დაკმაყოფილებულია.**

4.სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;

სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე.



შესაბამისად, „სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას“ ინდიკატორი 3.6.3.4 დაკმაყოფილებულია.

5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ვებ გვერდზე განთავსებულია; სკოლის მისია, სკოლის სტრუქტურა, სამოქმედო გეგმა, პროგრამები და მხარდაჭერი სერვისები, საკონტაქტო ინფორმაცია პერსონალის, მოსწავლის მშობლის უფლებების მექანიზმი, სკოლას ასევე შემუშავებული აქვს აპელაციის მექანიზმები, რომელიც არ იყო განთავსებული ვებ გვერდზე. სკოლამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის შესაბამისად განაახლა ინფორმაცია ვებ გვერდზე სკოლის ვებ-გვერდზე, განათავსა სკოლის მიერ შემუშავებულ სხვადასხვა დოკუმენტაცია, მათ შორის სკოლის სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების ნაწილში განთავსებულია სკოლის ღირებულებები, ასევე განათავსა აპელაციის მექანიზმები, კერძოდ სკოლის მიმართ წარმოდგენილი განცხადების/ საჩივრის განხილვის პროცედურები.

შესაბამისად, „ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია“ ინდიკატორი 3.6.3.5 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.  
სკოლის ვებ გვერდი

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.



- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

### 3.7. ფინანსური რესურსები

#### 3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

#### 1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება

სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ წაჩხურას საჯარო სკოლის ბიუჯეტი განსაზღვრულია ვაუჩერული დაფინანსებიდან. სკოლის ბიუჯეტი სამეურვეო საბჭოს მიერაა დამტკიცებული. სკოლის ფინანსური მართვა ხორციელდება საქართველოს კანონით ბიუჯეტის შესახებ. ბუღალტერთან და დირექტორთან გასაუბრების შედეგად ექსპერტებმა დაადგინეს, რომ სკოლის ფინანსური რესურსები ხელს უწყობს სკოლის სამოქმედო გეგმის განხორციელებას. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება. სკოლამ წარმოადგინა 2024 წლის საპროგნოზო ბიუჯეტი, 2023 წლის ბიუჯეტი. დოკუმენტაციის შესწავლისას დასტურდება რომ სკოლას აქვს ბიუჯეტის სწორად დაგეგმვის პრაქტიკა. ბიუჯეტის დაგეგმვისას გათვალისწინებულია სავარაუდო შემოსავლები, მომდევნო წლის პრიორიტეტები და სავარაუდო ხარჯები. სკოლამ წარმოადგინა კომუნალური გადასახადის დამადასტურებელი ქვითრები, რითიც ასევე დასტურდება სკოლის ფინანსური მდგრადობა.

**შესაბამისად, „სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება“ ინდიკატორი 3.7.1.1 სრულად არის დაკმაყოფილებული.**

#### 2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა

სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ წაჩხურას საჯარო სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა. სკოლაში თანხების განკარგვა ხდება სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით. ბიუჯეტის კორექტირებას სკოლაში ადგილი არ ჰქონია. სკოლას ბრძანებით გამოყოფილი ყავს სახელმწიფო შესყიდვის კოორდინატორი, შესყიდვის გეგმაში რეგისტრაციისა და მის შემდგომ კორექტირებაზე პასუხისმგებელი პირი, სკოლას ასევე დამტკიცებული აქვს სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესი და შესყიდვების წლიური გეგმის ფორმა. დაწესებულება ყოველი წლის ბოლოს აკეთებს სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშს. ყოველი წლის 10 დეკემბერს ხდება წლიური ფინანსური ანგარიშის წარდგენა სამეურვეო საბჭოსთან.

სკოლის დირექტორი პედსაბჭოს თავმჯდომარის, სასკოლო საგნობრივი კათედრების, სკოლის დირექციის, მათ შორის ბუღალტრის და ადმინისტრაციის ჩართულობით შეიმუშავებს ფინანსურ და სასწავლო პროცესის ანგარიშს, რომელსაც 10 დეკემბრამდე სკოლის სამეურვეო საბჭოს წარუდგენს.

შესყიდვების გეგმა შედგენილია ნოემბრის თვეში. ასევე გათვალისწინებულია კორექტირების შესაძლებლობა, რომელიც თანხმდება სამეურვეო საბჭოსთან საჭიროების შემთხვევაში.

**შესაბამისად, „სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა“ ინდიკატორი 3.7.1.2 დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის ბიუჯეტი
- სკოლის საპროგნოზო ბიუჯეტი
- სამეურვეო საბჭოს ოქმები
- ბრძანებები შესყიდვებთან დაკავშირებით

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება



## 5. მოსწავლეთა მხარდაჭერა

### 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

#### 4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა

სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ წაჩხურას საჯარო სკოლაში ძირითადი შიდა სასკოლო დოკუმენტი, რომლითაც რეგულირდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა არის სკოლის შინაგანაწესი. აღნიშნული დოკუმენტი ეფუძნება კანონს ზოგადი განათლების შესახებ, ბავშვთა უფლებების დეკლარაციას და იმ ფუნდამენტურ საკანონმდებლო აქტებს, სადაც გაწერილია ბავშვის უფლებები და მოვალეობები. ბავშვს აქვს უფლება სწავლობდეს უსაფრთხო გარემოში. ამ მიმართულებით შიდა სასკოლო რეგულაციები, მასწავლებელთა მორიგეობა, კლასის დამრიგებლის უფლება-მოვალეობები უზრუნველყოფს მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვას. შინაგანაწესში გაწერილია როგორც დისციპლინური საქმისწარმოება, ასევე გვხვდება ინფორმაცია მოსწავლის წახალისების შესახებ. წახალისების ფორმებად სკოლას დადგენილი აქვს: მადლობის გამოცხადება, სიგელით დაჯილდოება და ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება. მოსწავლეთა გაცდენის და საფეხურის დაძლევის საკითხები რეგულირებულია სასკოლო სასწავლო გეგმით. მოსწავლეების პირადი საქმეების შესწავლით დასტურდება, რომ პირად საქმეში ინახებოდა კანონით განსაზღვრული დოკუმენტები. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია ინკლუზიური განათლების ზოგადი წესები და პირობები.

სასწავლო წლის დასაწყისში ყოველწლიურად ხდება მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევა, მოსწავლეთა სურვილების, ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით იქმნება კლუბები. საგნის მასწავლებლები და კლასის ხელმძღვანელები მოსწავლეთა საჭიროებებიდან გამომდინარე მათივე მონაწილეობით გეგმავენ და ახორციელებენ პროექტებს.

გარდა შინაგანაწესისა სკოლას აქვს სხვადასხვა შიდა რეგულაციები, რომლითაც ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა. სკოლამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა დოკუმენტი

სახელწოდებით „მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი დაცვა“, სასკოლო კურიკულუმები. აღნიშნული დოკუმენტების შესწავლის შედეგად გამოიკვეთა რომ სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლის უფლებების დაცვას.

აღნიშნული დოკუმენტებით დასტურდება, რომ სკოლას აქვს მზაობა და გამოცდილება უზრუნველყოს მოსწავლეთა უსაფრთხოება, დისკრიმინაციისგან დაცვა. მოსწავლეები ჩართულები არიან სკოლის მართვაში, აქვთ გასაჩივრების უფლება, აქვთ ინფორმაცია საკუთარი უფლებების შესახებ. ბავშვის ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლება ხარისხიანი და ინკლუზიური განათლების მიღება არის უზრუნველყოფილი. ეს დასტურდება სკოლის მიერ შემუშავებულ კურიკულუმებში, რომელშიც მკაფიოდ არის გამოკვეთილი მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულობა, სიღრმისეულ სწავლაზე აქცენტირება და ინკლუზიური განათლების პრინციპები. სსსმ მოსწავლეებისთვის ხარისხიანი განათლების უზრუნველსაყოფად სკოლის ისგ გუნდი შეიმუშავებს ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებულ სასწავლო გეგმებს და სთავაზობს თითოეულ სსსმ მოსწავლეს საჭირო საგანმანათლებლო მომსახურებას (სკოლას ჰყავს სპეციალური მასწავლებელი).

**შესაბამისად, „სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;“ ინდიკატორი 4.1.1.1 დაკმაყოფილებულია.**

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;

სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ წაჩხურას საჯარო სკოლის მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან. სკოლის შინაგანაწესი განთავსებულია ყველასათვის ხელმისაწვდომ სასკოლო სივრცეში (საინფორმაციო დაფა). მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციების გაცნობა ხდება საინფორმაციო შეხვედრებზე, მშობელთა კრებებზე, დამრიგებლის საათზე. სკოლა მოსწავლეებისთვის აღნიშნული რეგულაციების უზრუნველსაყოფად ასევე აწყობს საკლასო და სასკოლო პროექტებს. დამრიგებლები პერიოდულად აცნობენ მოსწავლეებს შინაგანაწესს მოსწავლეების უფლება-მოვალეობების განხილვა-შეხსენება ხდება საკლასო ოთახებში, ერთობლივი წესით შემუშავებულ ქცევის წესებში. სკოლის ვებ გვერდზე განთავსებულია სკოლის მიერ შემუშავებული დოკუმენტები.

**შესაბამისად, „სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;“ ინდიკატორი 4.1.1.2 დაკმაყოფილებულია.**

3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ წაჩხურას საჯარო სკოლაში მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი ხელშეკრულება, რომლებიც არ იყო დანომრილი და ზოგიერთ მშობელს არ ჰქონდა ხელი მოწერილი, რაც გასწორდა სკოლის მიერ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის შესაბამისად. სკოლამ წარმოადგინა მშობელთან

გაფორმებული ხელშეკრულებები. ხელშეკრულებაში ასახულია მხარეთა უფლება-მოვალეობები, მოსწავლის უფლებები და ვალდებულებები. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის წესი, მხარეთა რეკვიზიტები და დამატებითი პირობები.

შესაბამისად, „სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;“ ინდიკატორი 4.1.1.3 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- მშობლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები
- შინაგანაწესი
- დოკუმენტი სახელწოდებით „მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი დაცვა“
- სასკოლო კურიკულუმები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

**4.1.2.სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები**

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები

სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ წაჩხურას საჯარო სკოლას აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები, სკოლა ხელმძღვანელობს „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების 2017 წლის 11 იანვრის N04/ნ ბრძანების დამტკიცების წესის საფუძველზე.

სკოლამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა „მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი“. სკოლამ ასევე წარმოადგინა მოსწავლეთა ჩარიცხვისა, ამორიცხვის, საფეხურის დაძლევისა და სტატუსის შეჩერების ბრძანებები, პედაგოგიური საბჭოს ოქმი. საფეხურის დაძლევა დასტურდება პედაგოგიური საბჭოს ოქმით. მობილობა წარმოებს მშობელთა მომართვის საფუძველზე. აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით სკოლა ხელმძღვანელობს ეროვნულ სასწავლო გეგმაში გაწერილი პროცედურებით. მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომი და გაზიარებულია მშობლებისთვის/კანონიერი წარმომადგენლებისთვის, პედაგოგებისთვის და თავად მოსწავლეებისთვის.

**შესაბამისად, „სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები“ ინდიკატორი 4.1.2.1 დაკმაყოფილებულია.**

2.სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;

სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ წაჩხურას საჯარო სკოლას აქვს „მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი“. სკოლამ წარმოადგინა მოსწავლეთა ჩარიცხვისა, ამორიცხვის, საფეხურის დაძლევის, სტატუსის შეჩერების ბრძანებები. აღნიშნული დოკუმენტაციის შესწავლით დასტურდება, რომ სკოლა იცავს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობისა და სტატუსის შეჩერების პროცედურებს და ახორციელებს კანონმდებლობის დაცვით. მოსწავლის ჩარიცხვისას ყურადღება ექცევა მოსწავლეთა ასაკს, მობილობა ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად. სკოლამ წარმოადგინა მოსწავლეთა პირადი საქმეები. სკოლაში კანონმდებლობის შესაბამისად ხდება საფეხურის დაძლევის, მოსწავლეთა შეფასების ასახვა ელექტრონულ ჟურნალში შესაბამისი ვადების გათვალისწინებით.

**შესაბამისად, „სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს“ ინდიკატორი 4.1.2.2 დაკმაყოფილებულია.**

3.სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;

სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ წაჩხურას საჯარო სკოლა ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში მშობლებს და მოსწავლეებს წარუდგენს სათანადო წესით დამოწმებულ სკოლის შინაგანაწესსა და სასკოლო სასწავლო გეგმას. მშობლებსა და მოსწავლეებს აქვთ ინფორმაცია ქცევის წესები, საგნობრივი გამოცდების, სკოლაში სასწავლო წლის განმავლობაში განხორციელდა სხვადასხვა პროექტები და ღონისძიებები. ინტერვიუდან ფიქსირდება, რომ მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაციას მშობლებს აცნობენ დამრიგებლები. სკოლაში მეხუთე კლასში მოსწავლეებს შესთავაზეს სამი უცხო უცხოურ ენა ასარჩევად. უცხოური ენების შესახებ ინფორმაციას მშობლებს აწვდიან სკოლის პედაგოგები.

შესაბამისად, „სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი“ ინდიკატორი 4.1.2.3 დაკმაყოფილებულია.

4.სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ წაჩხურას საჯარო სკოლის პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად დასტურდება, რომ სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. ინფორმაციას მოსწავლეებს აწვდიან კლასის დამრიგებლები, გამოქვეყნებულია სკოლის ვებ გვერდი, საინფორმაციო დაფაზე. სკოლაში მიმდინარე პროგრამებში, სერვისებში, აქტივობებში მონაწილეობის საშუალება აქვს ყველა მოსწავლეს მათი სურვილის გათვალისწინებით.

შესაბამისად, „სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული“ ინდიკატორი 4.1.2.4 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- „მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი“.
- შინაგანაწესი
- ვებ გვერდზე განთავსებული ინფორმაცია კლუბების შესახებ





- მოსწავლეთა ჩარიცხვის, ამორიცხვის, საფეხურის დამლევის ბრძანებები
- პედაგოგიური საბჭოს ოქმი,
- უცხოური ენის არჩევის ოქმი
- სკოლასა და მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება

შეფასება

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა
  - ☒ შეესაბამება
  - ☐ მეტწილად შეესაბამება
  - ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
  - ☐ არ შეესაბამება

## 4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

### 4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი

სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ წაჩხურას საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა ადაპტაციის წესი, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით. სადაც გაწერილია მოსწავლის სასკოლო ცხოვრებაში ადაპტაციის პროცესები და მნიშვნელოვანი ფაქტორები, ასევე ამ წესით რეგულირდება პირველკლასელთა და სსსმ მოსწავლეთა ადაპტაციის საკითხი.

**შესაბამისად, „სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი“ ინდიკატორი 4.2.1.1 დაკმაყოფილებულია.**

2.სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან

სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ წაჩხურას საჯარო სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან; პირველ კლასელთა მასწავლებელი აწყობს პირველკლასელების საზეიმო მიღებას წინასწარ მორთულ საკლასო ოთახში, ხოლო შემდგომ ეტაპზე ხდება სკოლის სტრუქტურის გაცნობა. მოსწავლეთა ადაპტაციის მიზნით მომავალი პირველ კლასელები ღებულობენ მონაწილეობას სასწავლო პროცესის დაწყების პირველი დღის საზეიმო ღონისძიებაში. სკოლა პირველ კლასელთა რეგისტრაციას ახორციელებს კანონმდებლობით დადგენილი საფეხურების შესაბამისად. პირველ ეტაპზე სკოლაში ირიცხება სსსმ მოსწავლეები, მეორე ეტაპზე სკოლის თანამშრომელთა შვილები და მოსწავლეთა დედამამიშვილები, შემდეგ კომპლექტდება ჯგუფი, პირველ კლასელთა დოკუმენტაცია, რის საფუძველზე პედაგოგი ქმნის სოციალურ ქსელს მშობლებთან ურთიერთობისათვის. მასწავლებელი იცავს კონფიდენციალურობას მშობლებთან ურთიერთობაში. მშობელთა მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე პედაგოგი გეგმავს შესაბამის აქტივობებს და მუდმივ კონტაქტშია მათთან წერილობითი ფორმით თუ სოციალური ქსელის საშუალებით. მობილობის შემთხვევაში დამრიგებელი ეცნობა შემოსულ დოკუმენტაციას (პირადი საქმე), აცნობს კლასს, მასწავლებლებს, შენობის შიდა ინტერიერს, სკოლის შინაგანაწესს, კლასის მოსწავლეთა მიერ შემუშავებულ წესებს, საგაკვეთილო ცხრილს.

**შესაბამისად, „სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან“ ინდიკატორი 4.2.1.2 დაკმაყოფილებულია.**

3.მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად

სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ წაჩხურას საჯარო სკოლის დირექციასა და პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მიზნით სკოლა აძლევს მკაფიო და გასაგებ უკუკავშირს ზეპირსიტყვიერად, წერილობით, სასკოლო ღონისძიებებში ჩართვით, მშობლებთან ინფორმირებულობითა და თანამშრომლობით. მოსწავლეებს, მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აქვთ წვდომა ელექტრონულ ჟურნალთან. დამრიგებელი წერილობითი ფორმით ან სატელეფონო კომუნიკაციის საშუალებით ატყობინებს მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს მოსწავლის მიღწევების შესახებ.

**შესაბამისად, „მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად“ ინდიკატორი 4.2.1.3 დაკმაყოფილებულია.**

4.სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;

სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ წაჩხურას საჯარო სკოლის პედაგოგებთან და დირექციასთან ინტერვიუს შედეგად დასტურდება, რომ სკოლაში შემუშავებულია მოსწავლეთა ქცევის კოდექსი, რომლის გაცნობა ხდება მოსწავლეებთან სასწავლო წლის დასაწყისში და განთავსებულია საკლასო სივრცეში. მოსწავლეთა უფლება-მოვალეობების შესახებ ინფორმაციას სკოლა აცნობს მშობელს ან მის კანონიერ წარმომადგენელს მშობელთან პირველივე შეხვედრაზე ვერბალურად ან ვებ გვერდის საშუალებით. სკოლა გამოხატავს მხარდაჭერას მოსწავლის მშობლის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის მიმართ და ახორციელებს მათ მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის მიწოდებას საკანონმდებლო აქტებით დადგენილ ვადებში. მობილობით გადმოსულ მოსწავლეებს დამრიგებელი მოსწავლის ჩარიცხვის ბრძანების, მოსწავლის პირადი საქმის გაცნობის შემდეგ პირველივე დღეს უკავშირდება, ხდება მშობელსა და მოსწავლეს, აცნობს სკოლის სტრუქტურას, კლასს, აკეთებს წარდგენას კლასთან. აძლევს შესაბამის სახელმძღვანელოებს, ფორმდება სკოლასა და მშობელთან ხელშეკრულება. დამრიგებელი აცნობს სკოლის ინტერიერს, გაკვეთილების ცხრილსა და განრიგს.

**შესაბამისად, „სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით“ ინდიკატორი 4.2.1.4 დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას

სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ წაჩხურას საჯარო სკოლაში სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით ხორციელდება სასკოლო აქტივობები, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეებში სხვადასხვა სახის უნარების განვითარებას, მოტივაციისა და ცნობიერების ამაღლებას. სკოლამ წარმოადგინა 2022/2023 სასწავლო წელს განხორციელებული აქტივობების/პროექტები. სკოლა მუდმივად ხელს უწყობს მოსწავლეთა ინიციატივებს.

**შესაბამისად, „სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას“ ინდიკატორი 4.2.1.5 დაკმაყოფილებულია.**

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ წაჩხურას საჯარო სკოლაში სასკოლო პროცესების გაუმჯობესების მიზნით დამრიგებელი აწარმოებს ზეპირსიტყვიერ გამოკითხვას მშობლებთან, რომელსაც ითვალისწინებს კლასთან მუშაობისა და სასკოლო საგანმანათლებლო სფეროში მოსწავლეთა ჩართულობისათვის. ხდება მშობლების ინტერესის სფეროს გამოვლენა. ასევე ხდება მოსწავლეებისთვის გამოკითხვა და შესაბამისად მათი ინტერესების გათვალისწინება

**შესაბამისად, „სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას“ ინდიკატორი 4.2.1.6 დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლეთა ადაპტაციის წესი,
- განხორციელებული პროექტები
- მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ განხორციელებული პროექტი

შეფასება

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა
  - ☒ შეესაბამება
  - ☐ მეტწილად შეესაბამება
  - ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
  - ☐ არ შეესაბამება

#### 4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის

სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ წაჩხურას საჯარო სკოლის მასწავლებლებთან გასუბრებით და თვითშეფასებიდან ირკვევა, რომ ყოველწლიურად სადამრიგებლო საათის ფარგლებში ტარდება აქტივობა „მე ვირჩევ პროფესიას“, სადაც საუბრობენ სხვადასხვა პროფესიებსა თუ სფეროში წარმატებულ ადამიანებზე. გეგმავენ შეხვედრებს წარმატებულ კურსდამთავრებულებთან. სკოლა გეგმავს პროფესიული ორიენტაციის მხრივ შექმნას სასკოლო პროექტები და მოსწავლეები წაიყვანოს იუსტიციის სახლში და სენაკის სამხედრო ბაზაზე, ასევე გეგმავს ვიზიტს ავეჯის სახლში და მეფუტკრე-ფერმერებთან.



**შესაბამისად, „კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის“ ინდიკატორი 4.2.2.1 სრულად დაკმაყოფილებულია.**

2.სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით

სკოლის სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუს შედეგად დადასტურდა, რომ სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით მშობელთა კრებებზე, კლასის საათებზე;

**შესაბამისად, „სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით“ ინდიკატორი 4.2.2.2 დაკმაყოფილებულია.**

3.სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუდან დასტურდება, რომ სკოლა მუდმივად ცდილობს მოსწავლეებმა სწავლა გააგრძელონ შემდეგ საფეხურზე და მათი წარმატებული შედეგები გაითავალისწინოს.

**შესაბამისად, „სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს“ ინდიკატორი 4.2.2.3 დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სადამრიგებლო პროგრამები
- სამოქმედო გეგმები

შეფასება

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა*
  - ☒ შეესაბამება
  - ☐ მეტწილად შეესაბამება
  - ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
  - ☐ არ შეესაბამება



#### **4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას**

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

##### **1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი. სკოლის დირექციასთან და სპეციალურ მასწავლებლებთან ინტერვიუსა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შედეგად დასტურდება, რომ სკოლაში დამტკიცებულია ისე ჯგუფის სამოქმედო გეგმა. სკოლას ყავს ინკლუზიური განათლების განხორციელების შიდა მონიტორინგის ჯგუფი. მონიტორინგის ჯგუფის წევრები წელიწადში ერთხელ ახორციელებენ ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმის შესრულების შიდა მონიტორინგს. სსსმ მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესამუშავებლად განისაზღვრება ისე ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას და ხელს შეუწყობს მის განხორციელებას. სკოლამ წარმოადგინა ი.ს.გ ჯგუფის სამოქმედო გეგმები, მოსწავლეების ინდივიდუალური სასწავლო გეგმები; ინკლუზიური განათლების მონიტორინგის ჯგუფის ოქმი; ინკლუზიური განათლების მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა.

**შესაბამისად, „სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი“ ინდიკატორი 4.2.3.1 დაკმაყოფილებულია.**

##### **2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.**

სკოლას სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს. თითოეული სსსმ მოსწავლისთვის სკოლაში შექმნილია ისე ჯგუფები. ისე ჯგუფის წევრები არიან: მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი, თითოეული საგნის მასწავლებელი, დამრიგებელი, სპეციალური მასწავლებელი. ისე ჯგუფის წევრები უზრუნველყოფენ სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას და ხელს უწყობენ მის განხორციელებას.

შესაბამისად, „სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს“ ინდიკატორი 4.2.3.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სსსმ მოსწავლეების ინდივიდუალური სასწავლო გეგმები
- ინკლუზიური განათლების მონიტორინგის ჯგუფის ოქმი
- ისგ ჯგუფის ოქმები.

შეფასება

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა
  - ☒ შეესაბამება
  - ☐ მეტწილად შეესაბამება
  - ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
  - ☐ არ შეესაბამება

**4.2.4.სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.**

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;

3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებელით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

სკოლა სარგებლობს საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტის უზრუნველყოფის პროგრამით.

შესაბამისად, „სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებელით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)“ ინდიკატორი 4.2.4.1 დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;

არ აქვს, ტრანსპორტირების გარდა.

შესაბამისად, „სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას“ ინდიკატორი 4.2.4.2 დაკმაყოფილებულია.

სკოლა არ ახორციელებს დამატებით (არასავალდებულო) მომსახურებას.

3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს;

სკოლა არ ახორციელებს დამატებით (არასავალდებულო) მომსახურებას.

შესაბამისად, „შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს“ ინდიკატორი 4.2.4.2 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

.....

.....

.....

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება



## ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

### I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე





| სტანდარტი 2                                           | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)                                                                                                 |
|-------------------------------------------------------|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)               | <input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება<br><input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება<br><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება<br><input type="checkbox"/> არ შეესაბამება |
| კომპონენტი 2.1<br>კურიკულუმის შემუშავება              | <input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება<br><input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება<br><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება<br><input type="checkbox"/> არ შეესაბამება |
| კომპონენტი 2.2<br>კურიკულუმის განხორციელება           | <input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება<br><input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება<br><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება<br><input type="checkbox"/> არ შეესაბამება |
| კომპონენტი 2.3<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | <input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება<br><input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება<br><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება<br><input type="checkbox"/> არ შეესაბამება |
| კომპონენტი 2.4<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია   | <input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება<br><input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება<br><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება<br><input type="checkbox"/> არ შეესაბამება |

ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

### 2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმში შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმში გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ წაჩხურას საჯარო სკოლამ ვიზიტის დროს წარმოადგინა დოკუმენტი „სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“, რომელშიც კონკრეტულად და მკაფიოდ არის აღწერილი კურიკულუმის განვითარების პროცესის რეგულაციები. კურიკულუმის განვითარება მოიცავს კურიკულუმის შემუშავების, დანერგვის პროცესის მონიტორინგისა და შეფასების, გადასინჯვისა და რევიზიის უწყვეტ ფაზებს. კურიკულუმის დანერგვის ნაწილში, სასკოლო საზოგადოების გათვალისწინების ნება იკვეთება. გაწერილია მასწავლებლის, კათედრისა და დირექციის ფუნქციები. აღნიშნავენ, რომ ამ ეტაპზე კურიკულუმზე მუშაობის პროცესში ძირითადად გააქტიურებულია კათედრებისა და დირექციის როლი. დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები კურიკულუმების შემუშავების პროცესში თანამშრომლობენ ერთმანეთთან, ითვალისწინებენ ერთმანეთის აზრს. შეხვედრებზე მიმდინარეობს მსჯელობა მასწავლებლებს შორის როგორც კლასების, ისე მოსწავლეთა სუსტ და ძლიერ მხარეებზე. შესაბამისად, კურიკულუმების შედგენის დროს ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებს, დიფერენცირებულ მიდგომებს. კურიკულუმის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ინტერესები. მშობლისა და მოსწავლის ინტერესები დადგენილია გამოკითხვის მეთოდით. მათი უკუკავშირების საფუძველზე არის დაგეგმილი რიგი აქტივობები.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით სამუშაო ჯგუფი იკვლევს შემდეგ საკითხებს: მოსწავლეთა ჩართულობა და მათი შედეგები, მშობელთა ჩართულობა, კათედრებისა და დირექციის მუშაობა - მიღებული მონაცემების შეჯერების საფუძველზე, სკოლა ქმნის რეკომენდაციების პაკეტს, მოდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად. ამის დასტურად, სკოლამ წარმოადგინა სასკოლო სამოქმედო გეგმა, კათედრის სხდომის ოქმები, სადაც ასახულია კურიკულუმის შემუშავების პროცესი. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და კათედრებთან გასაუბრების შემდეგ დასტურდება, რომ სკოლა ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების ინტერესს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში დაწვრილებითაა გაწერილი მასწავლებლების, კათედრებისა და, დირექციის წვლილი კურიკულუმის შემუშავების პროცესში. ამ დოკუმენტის თანახმად, კურიკულუმის შემუშავებისას გათვალისწინებული იქნება მოსწავლეთა და მშობელთა ინტერესები.

სასკოლო კურიკულუმის თითოეული ნაწილი მზადდება პედაგოგიური საბჭოს მიერ, დირექციის ჩართულობითა და სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით. სკოლის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებში და მასწავლებლებთან გასაუბრებით ჩანს, რომ კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, რაც ასახულია საგნობრივი ჯგუფების მიერ შევსებულ სასკოლო კურიკულუმის ჩარჩოებში. ვიზიტის პროცესში გამოჩნდა, რომ სკოლაში დამკვიდრებულია თანამშრომლობითი კულტურა. მასწავლებლები ურთიერთთანამშრომლობით გეგმავენ დაწყებითი საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებს. ისინი იყენებენ თიმის პლატფორმას, კურიკულუმის შემუშავების პროცესში, მშობელთა ჩართულობისთვის და მათგან უკუკავშირის მისაღებად, სკოლა გეგმავს მშობელთა როლის გაძლიერებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმი, უპირველეს ყოვლისა, გაზიარებულია მასწავლებელთათვის, რასაც უზრუნველყოფს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია და კურიკულუმის დამტკიცების საკანონმდებლო ჩარჩო - კურიკულუმი თანხმდება სამეურვეო საბჭოსთან და მტკიცდება პედაგოგიურ საბჭოზე. მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება შემდეგი საკომუნიკაციო არხები: დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა, ბეჭდვითი მასალები, სოციალური მედია, კრებები, სამუშაო შეხვედრები; მშობლებთან კურიკულუმის გაზიარების გზად სკოლას გამოყენებული აქვს მათი პირადი ინფორმირება როგორც TEAMS- ის ჯგუფებში, ასევე კლასების მიხედვით facebook - ჯგუფურ „ჩათებში“.

სკოლასთან ვიზიტისას გამოიკვეთა, რომ კურიკულუმს უზიარებენ არამარტო საგნის, კათედრის ფარგლებში, არამედ სკოლის საერთო დონეზე. იმისათვის, რომ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების პროცესში აქტიურად იყოს ჩართული სასკოლო საზოგადოება, კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია განსაზღვრავს/აკონკრეტებს მასწავლებლის, კათედრის, დირექციის როლს და ასევე მშობელთან კომუნიკაციის ნაწილში მოიაზრებს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის გაზიარებას.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- ვიზიტის დროს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის წევრებთან გასაუბრება;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.



- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

### 2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში ორიენტირება ხდება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით. შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, რადგან ისინი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და სტანდარტით შემოთავაზებული კომპონენტების საშუალებით აღწერს გზას, რომელიც მოსწავლემ სწავლა-სწავლებაში უნდა გაიაროს გრძელვადიანი მიზნების დასაძლევად.

შუალედური სასწავლო მიზნების სახით, ჩადებულია კომპლექსური ბუნების დავალების პირობები, რაც მეტ ყურადღებას სასწავლო პროცესზე ამახვილებს, მოსწავლეს აძლევს ავტონომიურობის განცდას, ხელს უწყობს მისი შინაგანი ძალების გააქტიურებას, მაღალი სააზროვნო უნარებისა და შესრულებული სამუშაოს თვით რეფლექსიის უნარის განვითარებას. კომპლექსური ბუნების დავალებების გამოყენებით, სკოლა ცოდნის აგების, კონსტრუქტივისტული მიდგომის დანერგვას უწყობს ხელს.

კურიკულუმებში შემოთავაზებული დავალებები, ასევე მასწავლებლებთან ინტერვიუ აჩვენებს, რომ მოსწავლე აღიარებულია, როგორც სწავლა-სწავლების პროცესის აქტიური სუბიექტი და ცოდნის კონსტრუირების პროცესის წარმმართველი და თითოეულ ეტაპზე გათვალისწინებულია მისი ინტერსები და შესაძლებლობები. დაწყებით საფეხურზე (I-IV კლასი) ავტორიზაციის ქოუჩინგის მითითებების შესაბამისად არის წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო. პირველ და მეორე კლასში დაიწყეს მუშაობა ახალი გრიფირებული სახელმძღვანელოებით, კათედრას აქვს ინტეგრირებული გაკვეთილის ჩატარების გამოცდილება. სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებენ

ტექნოლოგიებს. სსსმ მოსწავლეებისათვის მათი საჭიროებების გათვალისწინებით, შექმნილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.  
**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. წარმოდგენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმებში გაწერილი კომპლექსური დავალების იდეები მიმართულია გლობალურ-ფუნქციური უნარების, მაკროცნებებისა და სამიზნე ცნებების დამუშავებაზე; სრულად გაწერილ საგნობრივ ჩარჩოებში მკაფიოდ იკითხება შერჩეული კომპონენტების შესაბამისობა გრძელვადიან მიზნებთან. ნათლად ჩანს, თუ რა მასალაზე ( დაფიქსირებული რესურსები) დაყრდნობით წარიმართება სწავლება. სამიზნე ცნებების დამუშავება ხდება სავალდებულო თემების ფარგლებში შერჩეული საკითხებით და მათთან დაკავშირებული შესაბამისი კონტექსტ-მაგალითებით; კურიკულუმის ჩარჩო ცხრილებში, კარგად არის გაწერილი შერჩეული მიზნების შესაბამისი საკითხები, თემები და ცნებები. კომპლექსური დავალების პირობები მოსწავლეებს უვითარებს დამოუკიდებელი სწავლის, კრიტიკული აზროვნების, პრობლემების გადაჭრისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარებს, რაც ემსახურება სიღრმისეული სწავლების პრინციპებს. მოსწავლეების მიერ ახალი ცოდნის მიღება ხდება კონსტრუქტივიზმის თეორიაზე დაყრდნობით. შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებს. გააზრებულია შედეგები, სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები გრძელვადიან მიზნებად.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში, ასევე კათედრის წევრებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სასწავლო პროცესში იყენებენ დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს: სასწავლო პროცესის დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა სურვილები, შესაძლებლობები და უნარები. კურიკულუმში ასახულია მეთოდები და სტრატეგიები, რომელიც გამოიყენება სწავლა-სწავლების პროცესში: კომპლექსური დავალებებით სწავლების, როგორც შუალედურ მიზანზე მუშაობის მეთოდის გააქტიურებით კურიკულუმში ეპასუხება ეროვნული სასწავლო გეგმის ერთერთ მეთოდოლოგიურ პრინციპს \_ინკლუზიურობას, რომლის მიხედვითაც დაცულია განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობა ყველა მოსწავლისათვის. კომპლექსური დავალების პროდუქტების ალტერნატიული ფორმები (ელექტრონული, მატერიალური) ეპასუხება დიფერენცირებული სწავლების მიდგომებს, რის მტკიცებულებას წარმოადგენს ის, რომ მოცემულია კომპლექსურ დავალებებში სხვადასხვა შინაარსის და სირთულის აქტივობები, ადაპტირებული დავალებები და მოსწავლეებს ეძლევა არჩევანის გაკეთების საშუალება. კომპლექსური ბუნების დავალებები შერჩეულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით.

სკოლას წარმოდგენილი აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და ადაპტირებული კომპლექსური დავალების ნიმუშები, ეს ადასტურებს, რომ სკოლა, საჭიროების მიხედვით, სასწავლო პროცესში იყენებს ინკლუზიურ მიდგომებს და აღნიშნული წარმოადგენს სკოლაში დამკვიდრებულ პრაქტიკას.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**



4. წარმოდგენილი დოკუმენტაციის (კომპლექსური დავალების იდეების) და ზეპირი გასაუბრების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, შეფასება მიმართულია გრძელვადიანი მიზნებისკენ და სტანდარტს შეესაბამება. განმავითარებელი შეფასება გამოყენებულია, როგორც სწავლა-სწავლებისგან განუყოფელი ნაწილი, ძირითადად, ზეპირი კომენტარის სახით. იგეგმება განმავითარებლით შეფასებით შეფასდეს კომპლექსური დავალების პროდუქტი, რის დასტურადაც დავალების პირობაში ჩაშენებულია გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული კრიტერიუმები, ასევე მოცემულია სადიაგნოსტიკო კითხვები, მათ შორის, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასებისთვისაც. ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, დაწყებით საფეხურზე მხოლოდ მეხუთე კლასის მეორე სემესტრიდან შემოდის განმსაზღვრელი შეფასება.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

სკოლამ წარმოადგინა შეფასების რუბრიკები (განმავითარებელი და განმსაზღვრელი), თუმცა უმეტესობა ზოგადი ხასიათისაა, ინტერვიუს დროს მასწავლებლების მიერ აღინიშნა, რომ აქტიურად რთავენ შეფასების პროცესში მოსწავლეს, მიმართავენ როგორც მოსწავლეთა თვითშეფასებას, ისე ურთიერთშეფასებას. მოსწავლის შეფასებაში პრიორიტეტი ენიჭება კომპლექსურ, კონტექსტის მქონე დავალებებს, რომელთა შესრულება მოსწავლეს უბიძგებს ცოდნის სხვადასხვა კომპონენტის ინტერაქტიულად და თანადროულად გამოყენებისკენ.

5. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში - „სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ გაწერილია, რომ სასკოლო კურიკულუმის შემუშავება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, კურიკულუმის განახლება ხდება ყოველწლიურად მთელი წლის განმავლობაში შეგროვებული მონაცემების საფუძველზე. ხდება ამ მონაცემების და წინარე გამოცდილების ანალიზი, გათვალისწინებულია ამ ანალიზის დასკვნები, მიგნებები და საგნობრივ კურიკულუმებში ასახულია და გათვალისწინებულია მიღებული გამოცდილება.

მასწავლებლებმა ზეპირ გასაუბრებაში აღწერეს პროცესი, რომელიც ადასტურებს, რომ დაგეგმვის დროს ითვალისწინებენ წინარე გამოცდილების ანალიზს, რომელიც სარწმუნო წყაროებიდან (თვითშეფასება, ურთიერთშეფასება, რეფლექსიური კითხვარი...) მოპოვებულ ინფორმაციას ეყრდნობა. წარმოდგენილი სკოლის თვითშეფასების დოკუმენტი და კურიკულუმის მეთოდოლოგია ასევე წარმოაჩენს კურიკულუმის განვითარების პროცესს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- საგნობრივი კურიკულუმები;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;
- ადაპტირებული კომპლექსური დავალება;
- შეფასების რუბრიკები;
- მათემატიკის კათედრის ანგარიში 2022-2023;

- სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024;
- მათემატიკის და კომპიუტერული ტექნოლოგიების კათედრის ოქმი;
- პედაგოგებთან გასაუბრება;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

## 2.2 კურიკულუმის განხორციელება

### 2.2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. კურიკულუმები, მოსწავლის შემოქმედებით პროცესში ჩართულობის უზრუნველყოფისთვის, ითვალისწინებს კომპლექსური ბუნების დავალებების განხორციელებას. კურიკულუმებში შეტანილია კომპლექსური დავალების პირობები, რომელებიც მოსწავლეებს სხვადასხვა ტიპის პროდუქტის შექმნას ავალდებულებს, როგორცაა, მაგალითად, დიორამა, პოსტერი, პოვერ პოინტის პრეზენტაცია და სხვა. ასეთი ტიპის კომპლექსური დავალებები მოსწავლის შემოქმედებით უნარებს ავითარებს.

დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები და მასში გაწერილი როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული შინაარსის თემები და სხვადასხვა ღონისძიებები, უზრუნველყოფენ მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით სასწავლო პროცესში ჩართვას,

კურიკულუმის სასწავლო თემებისა და კომპლექსური დავალების პირობების გაანალიზების საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლა შეძლებს მოსწავლეთა აქტიურად ჩართვას შემოქმედებითი სასწავლო პროცესში, შესაბამისად, სკოლა აკმაყოფილებს ამ კრიტერიუმს.

გარდა ამისა მტკიცებულების სახით წარმოდგენილია, სასკოლო პროექტები: “ჩემი თვალთ დანახული აფხაზეთი,, (ინტეგრირებული პროექტი -კომპიუტერული ტექნოლოგიები, ისტორია, ქართული, გეოგრაფია), ჯანსაღი კვება, სუფთა გარემო, ბარაქიანი შემოდგომა, დედის თვალებით ვხედავთ სამყაროს, მე მიყვარს ხატვა, წიგნი ჩემი მეგობარია, რომლებშიც მოსწავლეები აქტიურად იყვნენ ჩართულები. ინტერვიუს დროს მასწავლებელმა ისაუბრეს განხორციელებულ პროექტებში და კომპლექსური დავალების ფარგლებში მოსწავლეების მიერ შესრულებულ მრავალფეროვან პროდუქტებზე. ამასთანავე აღნიშნა, რომ ერთ-ერთი პროექტის “ჩემი თვალთ დანახული აფხაზეთის”-ფარგლებში მოსწავლეებმა შექმნეს პრეზენტაციები და ვიდეორგოლები, რომლებიც გაუზიარეს მოსწავლეებს. პროექტის ფარგლებში შექმნილი ონლაინ რესურსები მოსწავლეებმა გამოქვეყნეს სკოლის Youtube არხზე და facebook გვერდზე. აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. დაწყებითი კლასების კურიკულუმებში წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები, რაც სამიზნე ცნების დამკვიდრების პროცესში, თავისთავად გულისხმობს წინარე ცოდნაზე დაყრდნობას.

კომპლექსური დავალებები აგებულია მოსწავლისთვის უკვე ნაცნობ სასწავლო თემებსა და კონტექსტებზე, რომლებიც, მოსწავლეს, წინარე ცოდნის საფუძველზე, ახლის აგებაში დაეხმარება. კურიკულუმში ასევე გათვალისწინებულია მოსწავლის ასაკობრივი თავისებურებები, შინაგანი მზაობა და ინტერესები, რომელიც მოსწავლეს შესაძლებლობას მისცემს ახალი ცოდნა მანამდე არსებულ, საკუთარ გამოცდილებას დაუკავშიროს.

მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს ნათლად აისახა მათ მიერ წინარე ცოდნის გააქტიურების პრაქტიკის ყოველდღიურ საქმიანობაში გამოყენება და გააზრება. მათი გამოცდილება ცხადყოფს, რომ აქვთ უნარი, ფასილიტაცია გაუწიონ მოსწავლეს ცოდნის აგების პროცესში. სკოლა აკმაყოფილებს ინდიკატორის მოთხოვნას.

3. კურიკულუმებში შეთავაზებულია ისეთი აქტივობები და დავალებები, რომლებმაც მოსწავლეები უნდა დააფიქროს სწავლის პროცესზე და წახალისოს მეტაკოგნიცია. ეს უზრუნველყოფს, რომ სწავლის პროცესში აქცენტი გაკეთდეს სწავლის სწავლაზე. კომპლექსური დავალებების მრავალფეროვანი არჩევანი საშუალებას იძლევა, დავალების შესრულების სხვადასხვა ეტაპებზე, მოსწავლეებმა განსხვავებული მეთოდი და სტრატეგია გამოიყენონ და თვითონ დაგეგმონ სასწავლო პროცესი. აქცენტები კეთდება ისეთი რესურსების გამოყენებაზე, რამელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებში განსხვავებული უნარ ჩვევების გამომუშავებას.

დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში სასწავლო პროცესი დაფუძნებულია კომპლექსური ტიპის დავალებებზე, რომელიც თავისი არსიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს სწავლის სწავლას. კომპლექსური დავალების მოსამზადებელი აქტივობები და მისი წარდგენის ეტაპი გულისხმობს იმის გაანალიზებას მოსწავლის მხრიდან, თუ რა სტრატეგიები გამოიყენა დავალების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. მოსწავლეები პასუხობენ საკვანძო შეკითხვებს, რომელიც ხელს უწყობს მათ გააკეთონ

რეფლექსია დავალებაზე მუშაობის პროცესში, შესაბამისად აქცენტი კეთდება მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაზე. დავალებები სრულდება სხვადასხვა მეტაკოგნიტური სტრატეგიების გამოყენებით. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

4. კომპლექსური ტიპის დავალებები არის მოაზრებული, როგორც გზა და საშუალება სამივე კატეგორიის ცოდნის განვითარებისთვის. კურიკულუმები ითვალისწინებს კომპლექსური ტიპის დავალებების განხორციელებას, რაც თავისთავად გულისხმობს ცოდნის სამივე კატეგორიას. ასევე, კურიკულუმში საკითხები მკაფიოდაა განსაზღვრული, რაც მნიშვნელოვანია ერთი მხრივ გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებისთვის, მეორე მხრივ კი სწავლა-სწავლების ისეთ პრინციპების გასააქტიურებლად, როგორებიცაა - ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარატიული, პროცედურული, პირობისეული) მუშაობა და ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ მასწავლებლები იცნობენ და იყენებენ პრობლემაზე დაფუძნებული დავალებს, მოსწავლეთა ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურებისათვის - ისინი არა მხოლოდ ფაქტობრივ მასალას ეცნობიან და ამუშავებენ, არამედ სხვადასხვა ამოცანის გადასაჭრელად, მიღებული ცოდნის ინსტრუმენტად გამოყენება უწევთ. სკოლას აქვს მზაობა, რომ სასწავლო პროცესი ცოდნის სამივე კატეგორიაზე იყოს ორიენტირებული.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

5. კურიკულუმების, სკოლის თვითშეფასების, მასწავლებელთა ინტერვიუების საფუძველზე შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ სასწავლო პროცესი ხელს უწყობს მოსწავლეებს ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაში. კურიკულუმში თითოეულ სამიზნე ცნებას უკავშირდება მთელი რიგი ქვეცნებები, რომლებიც წარმოაჩენენ საგნობრივი ცოდნის სტრუქტურას. სამიზნე ცნებაზე მუშაობის პროცესში მოხდება ამ ქვეცნებების ერთმანეთთან შედარება, დაპირისპირება და სხვადასხვა ნიშნით კლასიფიცირება, რაც მათ ურთიერთდაკავშირებულ გამოყენებას განაპირობებს. სამიზნე ცნებების დამკვიდრების პროცესი აგებულია შესწავლილი საკითხების გაღრმავებაზე კლასების მიხედვით, და იმგვარად არის მიწოდებული, რომ შესაძლებელია ცოდნის ორგანიზება.

მოსწავლის ცოდნათა დაკავშირებისა და ორგანიზების თვალსაზრისით, კურიკულუმებში, სასწავლო საკითხებს გააჩნიათ ურთიერთმიმართებები. თემები ისე არის დაგეგმილი, რომ გააჩნიათ ცოდნის გამთლიანებისთვის საჭირო ლოგიკური კავშირები. სასწავლო კურიკულუმის გარდა, მოსწავლეთა ცოდნათა ურთიერთდაკავშირებისა და ორგანიზებისთვის მოაზრებულია კომპლექსური ბუნების დავალებები, რომლებიც ითვალისწინებს გარკვეული პროდუქტის შექმნას, მაგალითად, დიორამა, პოსტერი, პრეზენტაცია და სხვა. ასეთი ტიპის კომპლექსური დავალებები მოსწავლეს ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაში დაეხმარება. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები;
- სასწავლო პროექტები;
- ინტეგრირებული გაკვეთილის გეგმები;

- სასკოლო პროექტები: სუფთა გარემო, დედის თვალეზით ვხედავთ სამყაროს, ჯანსაღი კვება, ჩემი თვალთ დანახული აფხაზეთი;
- მოსწავლეების მიერ შესრულებული დავალებები;
- სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

#### 2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტენტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწყებითი საფეხურის წარმოდგენილ კურიკულუმებში სასწავლო საკითხების შერჩევა და დამუშავება ხორციელდება გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებით, რაც განსაზღვრულია სამიზნე ცნებების სახით. სამიზნე ცნებები და ქვეცნებები სათანადოდ არის წარმოდგენილი. საგნობრივი საკითხები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით, გათვალისწინებულ სავალდებულო თემებს. სამიზნე ცნებებს, ქვეცნებებსა და სასწავლო თემებს შორის კავშირი სწორად არის დანახული. მასწავლებლებს აქვთ უნარი იხელმძღვანელონ საგნობრივი სტანდარტით და სასწავლო პროცესი წარმართონ ისე, რომ საგნობრივი საკითხების დამუშავებასთან ერთად, მოსწავლის მიერ მიღებული ცოდნის განზოგადება და გრძელვადიანი



მიზნებისკენ ორიენტირება უზრუნველყონ, რაც დადასტურდა მათთან გასაუბრების დროს. კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია.

2. კურიკულუმებში წარმოდგენილია სასწავლო თემები, რომლებიც უკავშირდება მოსწავლისთვის ნაცნობ კონტექსტებსა და გარემოს და კურიკულუმებში შემოთავაზებულია დავალებები, რომელთა შესრულებისათვის მოსწავლეებს სხვადასხვა გამოწვევებთან გამკლავება მოუწევთ, რაც მათ პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას განაპირობებს. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. დაგეგმილი პროექტები, სასწავლო პროცესში გამოყენებული მრავალფეროვანი აქტივობები და რესურსები (როგორც ვირტუალური ლაბორატორიები ასევე სკოლაში არსებული რესურსები) ხელს უწყობს ლოგიკური და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას.

პედაგოგებთან ინტერვიუს დროს ასევე გამოიკვეთა, რომ კომპლექსურ დავალებაზე, პროექტებზე მუშაობის და საბოლოო პროდუქტის შექმნისას, მოსწავლეს უვითარდება კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა და თანამშრომლობითი უნარები, ასევე მოსწავლე ახდენს თვითაქტუალიზაციას და აზროვნების პროცესების მართვით - თვითრეგულაციას. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

განსაკუთრებით გამოვყოფდი ხელოვნებასა და მუსიკაში შერჩეულ კომპლექსურ დავალებებს მეექვსე კლასში, რაც უშუალოდ ამ მიზანს ემსახურება. საგნობრივი კონტექსტი მოსწავლის პირადი გამოცდილების პრიზმიდანაა დანახული, ყველა ტიპის აქტივობა იმგვარადაა შერჩეული, რომ ამოიცნოს და მართოს საკუთარი ემოციები, განუვითარდეს ემპათიის გრძნობა, აქტიურად ჩაებას გუნდურ მუშაობაში.

სკოლის მიერ ტრადიციულად ყოველწლიურად აღინიშნება “ტოლერანტობის კვირეული”. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. სასწავლო პროცესი და შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე, გაამახვილებულია ყურადღება მოსწავლეზე და მის შედეგზე, მოსწავლის თვითრეალიზებაზე, თვითრეგულაციაზე, მის შესაძლებლობების გამოვლენას და ინტერესების დაკმაყოფილებაზე, მოსწავლის სხვადასხვა უნარების განვითარების ხელშეწყობაზე.

სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია შეფასების პრინციპები, რომლებიც გამომდინარეობს ეროვნული სასწავლო გეგმიდან. სკოლამ წარმოადგინა დაწყებითი საფეხურის კომპლექსური დავალების განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, შეფასების ზოგადი რუბრიკები - საკლასო, საშინაო და შემაჯამებლ კომპონენტების შესაფასებლად. შემუშავებული შეფასების რუბრიკებით, მაგალითად, ფასდება როგორია მოსწავლის ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში, რამდენად აქვს მას მოსმენის კულტურა, იცავს თუ არა ეთიკურ ნორმებს, როგორია მისი საქმიანობა სოციალურ გარემოში (ჯგუფებში მუშაობის დროს). წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, შეიძლება დავასკვნათ, ჰოლისტური შეფასების გარკვეული ელემენტები გაბნეულია შეფასების სხვადასხვა რუბრიკაში.

ინტერვიუების მიხედვით, კათედრის წევრები იდეის გაგება-გაზიარების დონეზე ხსნიან და მხარს უჭერენ შეფასების სისტემის ორიენტირებას მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

4. წარმოდგენილი მასალების საფუძველზე, როგორცაა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, პროექტები, კათედრის ოქმი, შემაჯამებლის ანალიზის ფორმა, შეგვიძლია ვთქვათ, რომ არსებული შეფასების სისტემა აქცენტს აკეთებს არა მხოლოდ საგნობრივი საკითხების დასწავლაზე, არამედ იმის ანალიზზე, თუ რამდენადაა ჩართული მოსწავლე სწავლა-სწავლების პროცესში. მასწავლებლებთან ინტერვიუებით ირკვევა, რომ მოსწავლეები მონაწილეობენ რუბრიკების შექმნაში, იცნობენ ამ რუბრიკებს, რომლებიც ხშირად გამოკრულია კლასში. ამჟამად კათედრები მუშაობენ შეფასების ახალი ინსტრუმენტების შექმნაზე, როგორც განმავითარებელი შეფასებისთვის, ასევე განმსაზღვრელი შეფასებისთვის, რომლებშიც გათვალისწინებული იქნება შეფასების ყველა პრინციპი.

ინტერვიუს დროსაც მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ იყენებენ ჰოლისტური შეფასების რუბრიკებს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. მათ ასევე მიუთითეს, რომ სკოლა თავის შეფასების სისტემას დააფუძნებს ეროვნულ სასწავლო გეგმაში გაწერილ შეფასების პრინციპებს. შეფასების ვალიდურობის, გამჭვირვალების, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის უზრუნველყოფისთვის საჭირო ღონისძიებები გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმასა და შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტში. შეფასების ზემოთ აღნიშნული პრინციპების დაცვას, ასევე უზრუნველყოფს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებშიც კრიტერიუმები შინაარსობრივად დაკავშირებულია სამიზნე ცნებებსა და სტანდარტის შედეგებთან. აქედან გამომდინარე, სკოლა აკმაყოფილებს ამ კრიტერიუმს.

5. სკოლა, შეფასების სისტემის მექანიზმების განსაზღვრისას ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შეფასების სისტემას. ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფი ახორციელებს შეფასების ვერიფიკაციას სამი მიმართულებით: მოსწავლის შეფასებისას გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია, მტკიცებულებების ვერიფიკაცია. წინასწარ განსაზღვრულ რისკ-ფაქტორებთან მიმართებაში, ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფი განახორციელებს შეფასების პროცესისა და ინსტრუმენტების ვერიფიკაციას შერჩევითი პრინციპით. ვერიფიკაციის საბოლოო დასკვნა ეგზავნება სკოლის დირექტორს რეაგირებისთვის. ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფი მონიტორინგს უწევს რეკომენდაციების შესრულებას.

შეფასების სისტემის გარე ვერიფიკაციის მექანიზმად სკოლა განიხილავს სხვადასხვა კონკურსებსა და ოლიმპიადებში მოსწავლეთა შედეგებს. შიდა ვერიფიკაციის მექანიზმად კათედრებზე ჩატარებულ წამახალისებელ კონკურსებს მოიაზრებს, სადაც მოსწავლეები მონაწილეობას მიიღებენ საკუთარი სურვილების შესაბამისად და არაფორმალურ გარემოში მოხდება მათი ცოდნისა და უნარების შემოწმება.

სკოლა სამომავლოდ გეგმავს დანერგოს სადიაგნოსტიკო შეფასების პრაქტიკა. შეგვიძლია დავასკვნათ, სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

6. დაწყებითი საფეხურის კათედრის წევრებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, ინფორმაციის, მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას, არსებული ელექტრონული პლატფორმის

გამოყენებით, ასევე მოსწავლის პირად საქმეში. ინფორმაცია დაცულია და ინფორმაციის გაცემა ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით. სკოლაში ინახება მოსწავლეთა სემესტრული, წლიური და საფეხურის ნიშნები როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური სახით. ინფორმაციის ასახვა ხდება მოსწავლის პირად საქმეში, რომელიც ინახება სკოლაში კანონმდებლობით დადგენილი ვადით. სამომავლოდაც დოკუმენტაციის შენახვას და დამუშავებას გააგრძელებენ კანონით დადგენილი წესის შესაბამისად. სკოლა საუბრობს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღრიცხვისა და შენახვის კანონმდებლობით დადგენილი წესების შესახებ. შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, ინფორმაციის და მტკიცებულებების სახით სკოლაში ინახება საკლასო ჟურნალები მატერიალური სახით. 2021-2022 სასწავლო წლიდან კი ელექტრონული ჟურნალების სახით.

.....  
დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები;
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024;
- შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტის ჩარჩო/პროექტი;
- დაწყებითი საფეხურის განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები;
- სასწავლო პროექტები.
- მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები.
- სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

### 2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

## ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს გარკვეული გამოცდილება დაწყებით საფეხურზე დაამყაროს პოზიტიური კომუნიკაცია, შექმნას სასწავლო პროცესში კეთილგანწყობილი გარემო, დაამყაროს კარგი ურთიერთობები როგორც პედაგოგებთან, ასევე მოსწავლეებთან და მშობლებთან. ამის მტკიცებულებაა პროექტები, რომელშიც ჩართულია სასკოლო საზოგადოების სამივე რგოლი. მოსწავლეთა მხარდაჭერის მიზნით სკოლა ზრუნავს აქცენტი გააკეთოს მოსწავლეთა მიღწევებზე და მათ წარმატებებზე. ამდენად მათ რჩევებს და ერთად გეგმავენ შედეგების გაუმჯობესების გზებს. ცდილობენ წახალისონ მათი ქცევა. ესენია: მხარდაჭერა, ერთმანეთზე ზრუნვა, თანადგომა, პასუხისმგებლობა, ურთიერთდახმარება. დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები ითვალისწინებს მსგავს აქტივობებს, რომელიც მოსწავლეზე ზრუნვასა მხარდაჭერაზეა ორიენტირებული. სკოლა გეგმავს ითანამშრომლოს დამრიგებლებთან, მშობლებთან წლის დასაწყისში, რადგან უკეთ გაიგონ მოსწავლეთა სოციალური და ემოციური ფონი და საჭიროებების მიხედვით დაგეგმონ მომდევნო სასწავლო პროცესი.
2. სასწავლო პროცესი მოსწავლეზე ორიენტირებულია და მიმართულია მის პიროვნულ განვითარებასა და წინსვლაზე. მტკიცებულებად შეიძლება ჩავთვალოთ მრავალფეროვანი კომპლექსური ტიპის დავალებები, რომლებიც ზრდის მოსწავლეთა ინტერესს და მოტივაციას. მოსწავლეები ჩართული არიან პროექტებში, რომელშიც ჩართულობა ხელს უწყობს დაწყებითი საფეხურის მოსწავლეების და მასწავლებლებს შორის კეთილგანწყობის დამყარებას, ერთმანეთზე ზრუნვას, პასუხისმგებლობას, თანამშრომლობის უნარის ჩამოყალიბებას. სასწავლო პროცესში დიფერენცირების პრინციპების გამოყენება ასევე ადასტურებს იმას, რომ სასკოლო გარემო მოსწავლეზე ორიენტირებულია და მორგებულია მის ინტერესს და საჭიროებას.
3. რადგან სკოლა მცირეკონტიგენტიანია, ამიტომ ხდება სხვადასხვა კლასის მოსწავლეთა გაერთიანება სხვადასხვა აქტივობების განსახორციელებლად. ამ მიზნით არსებობს ერთმანეთთან მჭიდრო კომუნიკაცია და თანამშრომლობა. ასევე დაწყებითი კათედრის მასწავლებლები ხშირად ატარებენ სამუშაო შეხვედრებს, სადაც ერთმანეთს უზიარებენ სწავლის პროცესში წარმატებულ პრაქტიკას, ასევე წამოჭრილ პრობლემებს და ერთობლივად სახავენ გადაჭრის გზებს. მაგ: ტრენინგ-კურსზე „ლიდერი მასწავლებელი“ შემოთავაზებულ აქტივობებს უზიარებენ მასწავლებლებს, რომლებიც ირჩევენ მათთვის მისაღებს და შეაქვთ სასკოლო პრაქტიკაში. სკოლაში მჭიდრო თანამშრომლობითი კავშირია სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. ამის მტკიცებულებებია დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები, სასწავლო პროექტები; მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები და მათი ანალიზი, სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები; მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზის და ანგარიშის წარმოება მოსწავლეებისა და მასწავლებლის დონეზე. უცხო ენის კათედრა გამოირჩევა ურთიერთპატივისცემით, კოლეგიალობით. იგრძნობა თანამშრომლობითი და მხარდამჭერი გარემო. მასწავლებლებს აქვთ გარკვეული გამოცდილება კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტის პრაქტიკაში გამოყენების. მუდმივი თანამშრომლობითი კავშირია ასევე სხვა დანარჩენ კათედრებთან, რაც საგანთა ინტეგრირებით გამოიხატება (ბუნებისმეტყველება, ხელოვნება). მომდევნო სასწავლო წლიდან იგეგმება ინტეგრირებული კომპლექსური დავალებების განხორციელება, რაც კიდევ უფრო გაზრდის და გააძლიერებს მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას და საგანთა შორის კავშირს და ნორმებზე დაფუძნებულ პოლიტიკას. ინტერვიუებიდან ჩანს რომ პედაგოგები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ფორმალურ განათლებასთან ერთად არაფორმალურ განათლებას, ამ კუთხით გეგმავენ სასკოლო ექსკურსიებს, ლაშქრობებს, კლასის სპექტაკლებზე წაყვანას და რა თქმა უნდა სასკოლო პროექტებს. ყოველივე ეს პოზიტიური გარემოს შექმნას უწყობს ხელს.

4. სკოლა შესაძლებლობას აძლევს მოსწავლეებს ისწავლონ ფიზიკურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოში. საკლასო რესურსები ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლისათვის. სკოლაში მოქმედებს სადამრიგებლო საათი, რომელიც აძლევს მოსწავლეებს საშუალებას ისაუბრონ პირად საკითხებსა და საკუთარ პრობლემებზე. მათ შეუძლიათ მიმართონ ნებისმიერ დროს დირექტორს ან სხვა მასწავლებელს, რომლებიც ყოველთვის გულისყურით უსმენენ და ეხმარებიან. აღმზრდელობითი მუშაობა მიმდინარებს სხვადასხვა ფორმით: დისკუსია, ფილმების ჩვენება-განხილვა, სასწავლო ექსკურსია, როლური თამაში, გამოფენა, კონკურსი.

ჩანს, რომ სასკოლო საზოგადოების წევრები ინტენსიურად არიან ჩართული სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში. იგრძნობა პოზიტიური სასკოლო კლიმატი, რაც გამოხატება თანამშრომლობით კავშირებით სასკოლო საზოგადოებას შორის. მოქმედებს წახალისების მექანიზმები: სერტიფიკატებით დაჯილდოებები, სიტყვიერი წახალისება. აღიარება, პატივისცემა, ნდობა, მაღალი მორალური ღირებულებები, ჩართულობის მაღალი შესაძლებლობები, აკადემიური და პიროვნული ზრდა, მიკუთვნებულობის მაღალი გრძნობა, სკოლის განვითარებაზე პასუხისმგებლობა და ზრუნვა ქმნის სკოლის პოზიტიური კლიმატს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კურიკულუმები;
- სასკოლო-სასწავლო გეგმა 2023-2024;
- შეფასების მასალები;
- სასკოლო პროექტები
- საგნობრივი ჯგუფების შეხვედრის ოქმები;

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

## 2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

### 2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;



2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

#### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელშიც ასახულია თუ როგორ ხორციელდება კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. დოკუმენტის თანახმად კურიკულუმის განვითარება არის ციკლური პროცესი და მონიტორინგი ამ პროცესის უწყვეტი ნაწილია, ჩამოყალიბებულია შესაბამისი კითხვები, რომელთა ანალიზი კურიკულუმის მონიტორინგისა და სასწავლო პროცესის გაუმჯობესების საშუალება იქნება. ასევე იგეგმება მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტიკა, რაც ასევე კურიკულუმის შეფასების საფუძველი გახდება. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს მასწავლებელთა გაკვეთილზე დასწრებას, უკუკავშირს, რეკომენდაციების მიცემას. ამასთანავე, ხდება მასწავლებელთა მიერ რეფლექსიის შედგენა. აღნიშნულ პროცესში ჩართული არიან სკოლის საგნობრივი კათედრებიც. კათედრის ხელმძღვანელები ესწრებიან გაკვეთილებს, ახორციელებენ მონიტორინგს და კათედრის წევრებს რეფლექსიის სახით სთავაზობენ განვითარებაზე ორიენტირებულ უკუკავშირს. ინდიკატორი შესაბამისობაშია

3. პედაგოგებს აქვთ გაცნობიერებული ის ფაქტი, რომ მოსწავლეთა შეფასების მთავარი მიზანი მათი დახმარებაა სწავლა-სწავლების პროცესში. პრობლემის იდენტიფიცირების შემდეგ კათედრის წევრები ერთად გეგმავენ პრობლემის მოგვარების გზებს გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად. კერძოდ, მონიტორინგისა და შეფასების შედეგად აღმოჩენილი ხარვეზების დროს მასწავლებლები ერთობლივად გეგმავენ პრობლემების გადაჭრის გზებს. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კათედრების ოქმები;
- მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები;
- სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.



- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

### 2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტიკურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმებიდან, სკოლის თვითშეფასების დოკუმენტიდან, წლიური სამუშაო გეგმიდან, და მასწავლებლების მიერ გაზიარებული გამოცდილებიდან დასტურდება, სკოლა სასწავლო პროცესის შეფასებას აფუძნებს კონსტრუქტივისტულ მიდგომებს, რომლის მიზანია, როგორც მოსწავლის ცოდნის დონის დადგენა, ისე მისი დახმარება საკუთარი სწავლის გაუმჯობესებაში. ამ მიზნით მოსწავლეთა შეფასებისთვის იყენებენ მრავალფეროვან წყაროებს: სასწავლო პროცესზე დაკვირვება, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტები, სადიაგნოსტიკო კითხვები, თვითშეფასება და ურთიერთშეფასება და ა.შ.

სკოლამ წარმოადგინა მათ მიერ შექმნილ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომელთა დახმარებითაც ხდება მოსწავლის აკადემიური მოსწრების დინამიკაზე დაკვირვება, რაც გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. შეფასება ხორციელდება ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიანი მიზნების, მათი მკვიდრი წარმოდგენების, თემატური შედეგების, კონსტრუქტივისტული პრინციპების გათვალისწინებით, შეფასება მიზანმიმართულია 6 ფუნქციურ-კომპონენტური უნარის განვითარების ხელშეწყობაზე. დოკუმენტებში გაწერილია და კათედრის წევრებთან გასაუბრებაც ადასტურებს, რომ შეფასება ხორციელდება იმის შესაბამისად, რამდენად მოახერხებს მოსწავლე ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენებას შინაარსიან კონტექსტებში. ძირითადი ამოცანების გადასაჭრელად მოსწავლის შეფასებაში პრიორიტეტი ენიჭება კომპლექსურ, კონტექსტის მქონე დავალებებს, რომელთა შესრულება მოსწავლეს უბიძგებს ცოდნის სხვადასხვა კომპონენტის ინტერაქტიულად და თანადროულად გამოყენებისკენ.

სკოლა მოსწავლეებს სხვადასხვა სასწავლო კონტექსტში აფასებს, რისთვისაც იყენებს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს, როგორც კომპლექსური დავალების, გაკვეთილზე ჩართულობის, ჯგუფური მუშაობის, საკლასო დავალების, საშინაო დავალების, დისკუსიის, მოსმენის დავალების, ესეს, ზეპირი პრეზენტაციისა და სხვა შეფასების რუბრიკები.

სკოლას აქვს გამოცდილება, კურიკულუმის შეფასებისას გამოიყენოს მასწავლებლის თვითშეფასება, საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება, მოსწავლეთა გამოკითხვა, თუ რა შეძლეს და სად სჭირდებათ დახმარება. ასევე კათედრაზე, სამუშაო ჯგუფებში, მასწავლებლებთან, მშობლებთან, საგნობრივ ექსპერტებთან საერთო შეხვედრებზე გამოკვეთილი კურიკულუმის დანერგვის პროცესში შექმნილი სირთულეების გათვალისწინება ახალი კურიკულუმის შექმნისას, არის დასტური იმისა, რომ სკოლაში შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით.

3. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, სასწავლო პროცესის შეფასებისთვის მონაცემების შეგროვების მეთოდად ითვალისწინებს მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტიკას ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით. სკოლა იყენებს თავის მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს, როგორც ტრადიციულ, ასევე, ახალი სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტებს - მოსწავლის დაკვირვებას, ფოკუს ჯგუფსა და ჩაღრმავებულ ინტერვიუს; რაოდენობრივ და თვისობრივი კვლევებს, რომელშიც ჩართული იქნებიან მოსწავლეები, მასწავლებლები და მშობლები; პროცესზე დაკვირვება, მოსწავლეთა უკუკავშირი, მშობელთა უკუკავშირი, პედაგოგთა სამუშაო შეხვედრებზე განხორციელებული აქტივობების ანალიზი, მოსწავლეთა ნამუშევრების (შემაჯამებელი წერების, კომპლექსური დავალებების და სხვა.) ანალიზი, რაც ადასტურებს, რომ სკოლა შეფასებისას იყენებს მონაცემთა შეგროვების სხვადასხვა მეთოდს. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

4. სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების როგორც განმსაზღვრელი ასევე განმავითარებელი რუბრიკებიდან, კურიკულუმების შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიიდან დასტურდება, რომ შეფასება მიმდინარეობს მოსწავლეთა თვითშეფასების, მოტივაციის, ჩართულობის, ურთიერთანამშრომლობის ფაქტორების გათვალისწინებით. სკოლა შეფასებისას ეყრდნობა, როგორც მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს, ასევე მათ პიროვნულ მახასიათებლებს, ინდივიდუალურ საჭიროებებსა და სოციალურ ფაქტორებს. ინტერვიუზე მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ შეფასების რუბრიკები საგანში ის ეფექტური ინსტრუმენტებია, რომელიც გამოიყენება როგორც მოსწავლეების ნამუშევრის, ასევე მუშაობის პროცესის შეფასების მიზნით. სწორედ ასეთი რუბრიკის გამოყენება იძლევა ისეთი სამუშაოს შეფასების საშუალებას, როგორცაა მოსწავლეების მიერ წარმოდგენილი პრეზენტაციები, წერითი ნამუშევრები, კომპლექსური დავალებების დამლევის ხარისხი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;

- კურიკულუმები;
- სკოლის თვითშეფასების ანგარიში;
- საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის წევრებთან გასაუბრება;
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024
- დანართი N2-15 ხარისხის უზრინველყოფის მექანიზმი
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

## 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

### 2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. წარმოდგენილ დოკუმენტში „კურიკულუმის-განვითარების მეთოდოლოგია“ გაწერილია, რომ ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო პროცესის გაანალიზება. მონაცემების შეგროვების საფუძველზე სკოლა ქმნის რეკომენდაციების პაკეტს მოდერნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად; რეკომენდაციების პაკეტს სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმის განსაახლებლად და ჩაიშლება განახლებულ კურიკულუმსა და სამოქმედო გეგმაში. ამის დასტურია კურიკულუმების ჩარჩო-დოკუმენტები.

მასწავლებლებთან გასაუბრება ადასტურებს, რომ ეს პრინციპები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. სკოლა ჩართულია ზოგადი განათლების რეფორმის პროცესში და სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისას მუდმივად იღებს

საგნობრივი ექსპერტებისა და ავტორიზაციის პროცესებში მხარდამჭერი ჯგუფის რეკომენდაციებს. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. კურიკულუმის წარმოდგენილი ვერსია გარკვეულწილად ეფუძნება წინარე გამოცდილებას, რადგან სკოლაში არსებობს შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმი, ეს შესაძლებლობას იძლევა, მოხდეს კურიკულუმების გადასინჯვა და მისი გაუმჯობესება; კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით, მომდევნო წლის კურიკულუმი მონიტორინგის შედეგად მიღებული მონაცემების გათვალისწინებით იქნება შემუშავებული, შესაბამისად დაეფუძნება წინარე გამოცდილებას. ვიზიტის დროს აღინიშნა, რომ კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია გაკვეთილზე დაკვირვების შედეგად გამოვლენილი მიგნებები, რაც კათედრის წევრებთან გასაუბრებიდანაც დასტურდება. სკოლა აკმაყოფილებს კრიტერიუმს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ბუნებისმეტყველების კურიკულუმები;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- ბუნებისმეტყველების მეცნიერებების კათედრის წევრებთან გასაუბრება;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება





| სტანდარტი 2                                           | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)                                                                                                 |
|-------------------------------------------------------|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)                  | <input type="checkbox"/> შეესაბამება<br><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება<br><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება<br><input type="checkbox"/> არ შეესაბამება |
| კომპონენტი 2.1<br>კურიკულუმის შემუშავება              | <input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება<br><input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება<br><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება<br><input type="checkbox"/> არ შეესაბამება |
| კომპონენტი 2.2<br>კურიკულუმის განხორციელება           | <input type="checkbox"/> შეესაბამება<br><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება<br><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება<br><input type="checkbox"/> არ შეესაბამება |
| კომპონენტი 2.3<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | <input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება<br><input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება<br><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება<br><input type="checkbox"/> არ შეესაბამება |
| კომპონენტი 2.4<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია   | <input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება<br><input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება<br><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება<br><input type="checkbox"/> არ შეესაბამება |

## II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

### 2. სასკოლო კურიკულუმი

#### 2.1. კურიკულუმის შემუშავება

##### 2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

#### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ წაჩხურას საჯარო სკოლაში კურიკულუმის დაგეგმვა წარიმართება კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის საფუძველზე. საბაზო საფეხურზე კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართული იყო საბაზო საფეხურის ყველა მასწავლებელი. კურიკულუმის შემუშავებისას გათვალისწინებული იყო ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მეთოდური ორიენტირების მოთხოვნები, გათვალისწინებული იყო სასკოლო საზოგადოების ინტერესები. საგნობრივი ექსპერტების მიერ ჩატარებულმა სამუშაო შეხვედრებმა მასწავლებლებს დახმარება გაუწია. ამჟამად კათედრებზე სრულყოფილად შემუშავებულია კურიკულუმები და საჭიროების შემთხვევაში კათედრის წევრები შეიტანენ გარკვეულ ცვლილებებს. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. კურიკულუმები შემუშავდა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, კოლეგებთან თანამშრომლობით. კურიკულუმების შემუშავების პროცესში გათვალისწინებულ იქნა განსაკუთრებით მოსწავლეთა შესაძლებლობები, პრიორიტეტები და ინტერესები და ასევე მასში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. პედაგოგებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ კურიკულუმების შემუშავებისას ანალიზებენ საბაზო საფეხურის მოსწავლეთა შედეგებს, ითვალისწინებენ კათედრის სხდომებზე გაზიარებულ პრაქტიკას, კათედრის წევრებს შორის ურთიერთდასწრების განხილვას და გაცემულ უკუკავშირს. თემატურ მატრიცებში განსაზღვრულია მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები, რაც ნიშნავს სწავლა-სწავლებისას დიფერენცირებულ მიდგომებსა და კომპლექსური დავალების მოდიფიცირებას.

3. სკოლის მიერ წარდგენილ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტით განსაზღვრულია სასკოლო საზოგადოების მონაწილეობის ფორმები კურიკულუმის შემუშავების პროცესში. კერძოდ, განსაზღვრულია მასწავლებლების, კათედრებისა და დირექციის ფუნქციები და პასუხისმგებლობები. პედაგოგებმა საუბრისას ხაზგასმით აღნიშნეს, რომ პროცესში აქტიურად უნდა იყოს ჩართული მოსწავლეები და მათი მშობლები, გეგმავენ მშობელთა ბარათების გამოყენებას, რითაც მასზე უკუკავშირის საშუალებით კურიკულუმის შემუშავებისას გათვალისწინებული იქნება მშობელთა ინტერესები. კურიკულუმების შემუშავების პროცესი მიმდინარეობს სასკოლო საზოგადოების სრული ჩართულობით, როგორც კათედრასთან შეხვედრის დროს დადასტურდა, პროცესში ჩართულია კათედრის თითოეული წევრი, ერთობლივად ადგენენ შეფასების კრიტერიუმებს, ადგენენ თითოეული თემის განხილვისას მოლოდინებს ცნებებთან მიმართებით, ამ მოლოდინების შეფასების საფუძველზე იმსჯელებენ მიღებულ შედეგებზე და ერთმანეთს გაუზიარებენ საკუთარ გამოცდილებას.

4. კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმები, უპირველესად გაზიარებულია მასწავლებელთათვის. მშობლებისთვის დეტალურადაა მიწოდებული ინფორმაცია საგნის კურიკულუმების, პროექტების, შეფასების სისტემის და სკოლაში მიმდინარე სხვა აქტივობების შესახებ. იმისათვის, რომ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების პროცესში აქტიურად იყოს ჩართული სასკოლო საზოგადოება, კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია განსაზღვრავს/აკონკრეტებს მასწავლებლის, კათედრის, დირექციის როლს და ასევე მშობელთან კომუნიკაციის ნაწილში მოიაზრებს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის გაზიარებას.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- ინტერვიუ კათედრის წევრებთან;

#### 1.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და წარმართვის გზას. მასწავლებლებმა იციან, რომ საგნობრივ კურიკულუმებში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის/ მთლიანად სასწავლო კურსის დონეზე ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით სტანდარტებში წარმოდგენილი გრძელვადიანი სამიზნე ცნებების სახით. წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოებში დაგეგმილია მოსწავლეთათვის საინტერესო ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან ახლოს მდგომი საკითხების შესწავლა. აღნიშნავენ, რომ ამ საკითხებზე მუშაობა მოსწავლეებში გამოიწვევს ინტერესს, ცნობისმოყვარეობას, მისცემს ავტონომიურობისა და შემოქმედებითობის გამოვლენის საშუალებას. წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება (კურიკულუმის ჩარჩოები, სკოლის თვითშეფასების ფორმა) და მასწავლებლებმა ინტერვიუს პროცესშიც ისაუბრეს კურიკულუმის განვითარების ხედვასა და სტრატეგიებზე. აღნიშნეს, რომ კურიკულუმის შედგენისას გაითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლობებს, მასწავლებლებს აქვთ მზაობა სამომავლოდ კიდევ მეტად განავითარონ კურიკულუმები.

2. საბაზო საფეხურის წარმოდგენილი წლიური კურიკულუმები დაგეგმილია საგნობრივი სტანდარტებისა და გრიფირებული სახელმძღვანელოების მიხედვით, ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, სასწავლო პროცესი დაგეგმილია სავალდებულო თემებით, რომლის ფარგლებშიც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება. ძირითადად ჩანს თუ რა საგნობრივ საკითხებს, კომპლექსურ დავალებებს, თემებს, ძირითადად რესურსებს სთავაზობს სკოლა საკუთარ მოსწავლეებს ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მისაღწევად. აღნიშნავენ, რომ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობა მოსწავლეებს უვითარებს დამოუკიდებელი სწავლის, კრიტიკული აზროვნების, პრობლემების გადაჭრისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარებს, რაც ემსახურება სიღრმისეული სწავლების პრინციპებს. მოსწავლეების მიერ ახალი ცოდნის მიღება ხდება კონსტრუქტივიზმის თეორიაზე დაყრდნობით. საგნობრივი კურიკულუმები კი ორიენტირებული უნდა იყოს მოსწავლეებში გლობალური ფუნქციური უნარების - კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი ნებისყოფა/ნებელობა - განვითარებაზე.

3. სამიზნე ცნებები და შედეგები განსაზღვრულია საბაზო საფეხურის ფარგლებში სტანდარტის შედეგებიდან გამომდინარე, კურიკულუმები იგეგმება თემების მიხედვით დიფერენცირებული მიდგომებით, თემიდან გამომდინარე დაგეგმილია კომპლექსური დავალებები, რომელიც საშუალებას აძლევს მასწავლებელს გაითვალისწინოს მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები და საჭიროებები, სუსტი და ძლიერი მხარეები. ამის შემდეგ შესთავაზოს მათ შესაბამისი დავალება. ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ მასწავლებლები აკვირდებიან მოსწავლეებს სწავლის პროცესში, აკეთებენ ჩანაწერებს და ეს ეხმარება მათ მოსწავლეთა მზაობის დადგენაში, რათა შესაბამისი სირთულის დავალება შესთავაზოს მათ. ასევე, სთავაზობენ კომპლექსური დავალების საბოლოო პროდუქტის მომზადებას მათი შესაძლებლობიდან გამომდინარე. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ ინკლუზიურ მიდგომებს.

4. საბაზო საფეხურის მასწავლებლები სწავლა/სწავლების პროცესში იყენებენ განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებებს. ესგ-ის თანახმად მოსწავლეები ფასდებიან განმსაზღვრელი შეფასებით შემდეგ კომპონენტებში: მიმდინარე საკლასო დავალებები, საშინაო დავალების და შემაჯამებელი დავალების კომპონენტში. პედაგოგებს გაცნობიერებული აქვთ, რომ სწავლების ეფექტურობის შესაფასებლად მნიშვნელოვანია განმავითარებელი შეფასება, რადგან მისი საშუალებით გამოიკვეთება სწავლის პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეები. გასაუბრებისას დადგინდა, რომ მასწავლებლებს აქვთ განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნის გამოცდილება. ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ ხშირად ახორციელებენ განმავითარებელ შეფასებას ძირითადად სიტყვიერად. ახალი სასწავლო წლისათვის გეგმავენ ყველა თემასთან მიმართებით შექმნან შეფასების რუბრიკები, როგორც განმსაზღვრელი ასე განმავითარებელი შეფასებისთვის.

5. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის დამოუკიდებლად მიღებული გამოცდილება. მათ გაანალიზეს, რომელი კომპლექსური დავალებები იყო მეტად შედეგიანი, რომელმა უფრო მეტი ინტერესი და მოტივაცია გამოიწვია მოსწავლეებში. გაანალიზებული აქვთ განვლილი სასწავლო წლის როგორც წარმატებული გამოცდილება, ასევე წარმოქმნილი სირთულეები და გამოწვევები, რისი გათვალისწინებითაც შეავსეს წარმოდგენილი კურიკულუმები შერჩეული კომპლექსური დავალებებით. აქედან გამომდინარე, შემიძლია დავასკვნა, რომ დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
- საგნობრივი პროგრამები.
- მასწავლებლებთან გასაუბრება;
- მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი;
- ინდ-გეგმა;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

## 2.2. კურიკულუმის განხორციელება

„საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ მეხუთე მუხლის მეოთხე პუნქტის შესაბამისად, კომპონენტი 2.2. „კურიკულუმის განხორციელება“ პირველ ეტაპზე დახარვეზდა, ვინაიდან სკოლას არა აქვს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია და საბაზო საფეხურის კურიკულუმის განხორციელებას ექმნება საფრთხე, არგუმენტირებული პოზიციისას სკოლა, წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც სკოლა 2024 წლის 10 ნოემბრამდე, უზრუნველყოფს აღნიშნული საკითხის მოგვარებას





## 2.2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები მოსწავლეს, სავალდებულო თემების ფარგლებში, სთავაზობს მრავალფეროვან საკითხებს, კომპლექსური ბუნების დავალებები ნაცნობ კონტექსტებზე დაყრდნობით მოსწავლეს შესაძლებლობას აძლევს თავი წარმოიდგინოს სხვადასხვა რეალურ გარემოში. განსხვავებული კონტექსტების საფუძველზე შექმნას სხვადასხვა სახის შემოქმედებითი პროდუქტები, რაც მოსწავლეებს საშუალებას აძლევს საკითხები შეისწავლონ ყოველმხრივ და სრულფასოვნად. დავალების შესრულება ხელს უწყობს შემოქმედებითობის ან წარმოსახვის უნარის განვითარებას, მოითხოვს სიღრმისეულ ანალიზს და ეხმარება დამოუკიდებელ აზროვნებასა და პიროვნულ განვითარებაში. შესაბამისად, სკოლა აკმაყოფილებს ამ ინდიკატორს.
2. საბაზო საფეხურის კათედრების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, ვინაიდან საგნობრივი კურიკულუმები დაგეგმილია თემატურად, ხოლო თემატური დაგეგმვა წარმოადგენს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების გზას მის წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით. თითოეულ კლასში გაწერილია რამდენიმე კომპლექსური დავალება, რომლის პირობის ფორმულირებაში გათვალისწინებულია სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტები. ნაცნობ კონტექსტებზე დაფუძნებული დავალებებით, მასწავლებლების ფასილიტაციითა და უკუკავშირით მოსწავლეები აგებენ ახალ ცოდნას, აკეთებენ დასკვნებს, ქმნიან საინტერესო პროდუქტს და პრეზენტაციაზე ხსნიან თავიანთ ნამუშევრებს. კომპლექსური დავალების კონტექსტები იმგვარადაა შერჩეული, რომ ახლოს დგას მოსწავლეთა ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან, მას უხდება პრობლემის გადაჭრა, შედარებების გაკეთება, ნასწავლის შემოქმედებით პროდუქტში გამოთვლიანება. სასკოლო პროექტები და მოსწავლეთათვის შეთავაზებული საინტერესო არაფორმალური განათლების აქტივობებიც ასევე ეხმარება სასწავლო პროცესს ამ მიმართულებით.
3. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ ხდება მოსწავლის მიერ შესრულებული დავალებების ანალიზი: რა შეასრულა კარგად, რა ცოდნამ, გამოცდილებამ და სტრატეგიამ მოუტანა წარმატება, რა ხელშეშლელი ფაქტორები გამოიკვეთა, როგორ გაუმკლავდა ამ ფაქტორებს, რისი შეცვლა შეიძლებოდა თავიდან დაგეგმვის შემთხვევაში და სხვა. მასწავლებლებს აქვთ მზაობა სხვა მიმდინარე აქტივობების დროსაც წაახალისონ მოსწავლის ფიქრი სწავლის სწავლაზე/მეტაკოგნიციაზე. ასევე, აპირებენ ხშირად გამოიყენონ თანატოლთა შეფასება და თვითშეფასების რუბრიკები. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი გაკეთდეს სწავლის სწავლაზე.

4. კათედრის მიერ, საბაზო საფეხურზე შეთავაზებული კომპლექსური დავალებების იდეები/პირობები მოითხოვს საგნობრივი საკითხის დამუშავებას, ცოდნის დადასტურებას, სწავლის სტრატეგიების ფლობას, გარკვეული პროცედურების შესრულებას, პრობლემის გადაჭრას და ცოდნის ცხოვრებისეულ კონტექსტთან დაკავშირებით შემოქმედებითი პროდუქტის შექმნას. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობა თავის თავში გულისხმობს ცოდნის სამივე კატეგორიაზე ორიენტირებულობას. ასევე, ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა იკვეთება მიმდინარე საკლასო თუ არაფორმალურ აქტივობებში, როგორ უნდა გამოიყენონ მიღებული ცოდნა შემდგომ ცხოვრებისეულ სიტუაციებში. შესაბამისად „სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული)“.

5. კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოში ასახული ინფორმაცია, განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულები, აღნიშნული კომპლექსური დავალებები და მასწავლებლებთან გასაუბრება ცხადყოფს, რომ ყურადღება მახვილდება მოსწავლის მიერ ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაზე. კურიკულუმები საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენს. თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები, რომელიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სწორედ ის საკვანძო ასპექტებია, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას აძლევს მოსწავლეებს. ეს ფაქტორები გათვალისწინებულია საგნობრივი კურიკულუმის შემუშავების პროცესში, რადგან მითითებული კომპლექსური დავალებების დანერგვა ვერ განხორციელდება ცოდნათა დაკავშირებისა და კონსტრუირების გარეშე.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სასწავლო პროექტები;
- მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები;
- სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები;
- საბაზო საფეხური კურიკულუმები;

#### 2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საბაზო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში ჩანს, რომ სწავლა-სწავლების პროცესში გააზრებულია კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს, საგნობრივ საკითხებსა და რესურსებს შორის. სკოლის კურიკულუმებში გაწერილია რა მეთოდებით, აქტივობებით და რესურსებით შეძლებს მოსწავლე გრძელვადიანი მიზნების მიღწევას. მასწავლებლები გეგმავენ სავალდებულო თემის ფარგლებში ისე შეარჩიონ საკითხები, რომ ხელი შეუწყოს სამიზნე ცნებების გააზრებას. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საკითხებზე დაყრდნობით.
2. კურიკულუმებში წარმოდგენილია სასწავლო თემები, რომლებიც უკავშირდება მოსწავლისთვის ნაცნობ კონტექსტებსა და გარემოს და კურიკულუმებში შემოთავაზებულია დავალებები, რომელთა შესრულებისათვის მოსწავლეებს სხვადასხვა გამოწვევებთან გამკლავება მოუწევთ, რაც მათ პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას განაპირობებს. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. დაგეგმილი პროექტები, სასწავლო პროცესში გამოყენებული მრავალფეროვანი აქტივობები და რესურსები (როგორც ვირტუალური ლაბორატორიები ასევე სკოლაში არსებული რესურსები) ხელს უწყობს ლოგიკური და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს ასევე გამოიკვეთა, რომ კომპლექსურ დავალებაზე, პროექტებზე მუშაობის და საბოლოო პროდუქტის შექმნისას, მოსწავლეს უვითარდება კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა და თანამშრომლობითი უნარები, ასევე მოსწავლე ახდენს თვითაქტუალიზაციას და აზროვნების პროცესების მართვით - თვითრეგულაციას. ინდიკატორი შესაბამისობაშია.
3. კათედრის წარმოდგენილი მასალების საფუძველზე, როგორცაა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკის ნიმუშები, შეგვიძლია ვთქვათ, რომ არსებული შეფასების სისტემა აქცენტს აკეთებს არა მხოლოდ საგნობრივი საკითხების დასწავლაზე, არამედ იმის ანალიზზე, თუ რამდენადაა ჩართული მოსწავლე სწავლა-სწავლების პროცესში. განმავითარებელი შეფასება როგორც პროცესზე ორიენტირებული შეფასების ტიპი მოიცავს მრავალ სტრატეგიას და კომპონენტს. კათედრა ძირითადად იყენებს მიმდინარე განმავითარებელ შეფასებას, რაც გულისხმობს მასწავლებლების მიერ გაკვეთილზე გაკეთებულ განმავითარებელ კომენტარს. კომენტარი მეტად ეფექტანია მაშინ, როცა მას აქვს აღწერითი ხასიათი, თუმცა შეფასებითი კომენტარებიც არის მოტივაციის ამაღლების ერთ-ერთი საშუალება. კომპლექსური დავალებების შესაფასებლად მასწავლებლები იყენებენ სოლო ტაქსონომიას და ხედავს თითოეულ სამიზნე ცნებასთან მიმართებით რა ცოდნა მიიღო მოსწავლემ, რამდენად ახერხებს ამ ცოდნის გამოყენებას და აძლევს ასევე განმავითარებელ კომენტარს. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე.
4. კათედრის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით და გასაუბრებიდან გამომდინარე, შეიძლება ვთქვათ, რომ კათედრამ შეიმუშავა შეფასების კრიტერიუმები, სადაც მოსწავლეთა შეფასება იქნება ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო და ობიექტური. სკოლაში შეფასების რუბრიკებზე დაყრდნობით თითოეული თემის ფარგლებში იმოქმედებს, როგორც განმავითარებელი, ამასთანავე განმსაზღვრელი

შეფასების სისტემა. წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებში კრიტერიუმები მიემართება სამიზნე ცნებებისკენ და კონკრეტულ დავალებაში დამუშავებულ ქვეცნებებისკენ. მასწავლებლებმა საუბრისას აღნიშნეს, რომ მოსწავლეებს აცნობენ, უმარტავენ შეფასების რუბრიკებს, რაც გვამძლევეს საშუალებას, რომ დავასკვნათ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. კათედრის წევრებთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ ქოუჩინგის პროცესში მომზადებული შეფასების რუბრიკებში დეტალურად არის გაწერილი, თუ რას და როგორ შეაფასებს მასწავლებელი, რაზე გაამახვილონ მოსწავლეებმა ყურადღება კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას.

5. სკოლა, შეფასების სისტემის მექანიზმების განსაზღვრისას ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შეფასების სისტემას. ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფი ახორციელებს შეფასების ვერიფიკაციას სამი მიმართულებით: მოსწავლის შეფასებისას გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია, მტკიცებულებების ვერიფიკაცია. წინასწარ განსაზღვრულ რისკ-ფაქტორებთან მიმართებაში, ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფი განახორციელებს შეფასების პროცესისა და ინსტრუმენტების ვერიფიკაციას შერჩევითი პრინციპით. ვერიფიკაციის საბოლოო დასკვნა ეგზავნება სკოლის დირექტორს რეაგირებისთვის. ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფი მონიტორინგს უწევს რეკომენდაციების შესრულებას. შეფასების სისტემის გარე ვერიფიკაციის მექანიზმად სკოლა განიხილავს სხვადასხვა კონკურსებსა და ოლიმპიადებში მოსწავლეთა შედეგებს. შიდა ვერიფიკაციის მექანიზმად კათედრებზე ჩატარებულ წამახალისებელ კონკურსებს მოიაზრებს, სადაც მოსწავლეები მონაწილეობას მიიღებენ საკუთარი სურვილების შესაბამისად და არაფორმალურ გარემოში მოხდება მათი ცოდნისა და უნარების შემოწმება.

სკოლა სამომავლოდ გეგმავს დანერგოს სადიაგნოსტიკო შეფასების პრაქტიკა. შეგვიძლია დავასკვნათ, სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

6. კათედრის წევრებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, ინფორმაციის, მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას, არსებული ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით, ასევე მოსწავლის პირად საქმეში. ინფორმაცია დაცულია და ინფორმაციის გაცემა ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით. სკოლაში ინახება მოსწავლეთა სემესტრული, წლიური და საფეხურის ნიშნები როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური სახით. ინფორმაციის ასახვა ხდება მოსწავლის პირად საქმეში, რომელიც ინახება სკოლაში კანონმდებლობით დადგენილი ვადით. სამომავლოდაც დოკუმენტაციის შენახვას და დამუშავებას გააგრძელებენ კანონით დადგენილი წესის შესაბამისად. სკოლა საუბრობს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღრიცხვისა და შენახვის კანონმდებლობით დადგენილი წესების შესახებ. შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, ინფორმაციის და მტკიცებულებების სახით სკოლაში ინახება საკლასო ჟურნალები მატერიალური სახით. 2021-2022 სასწავლო წლიდან კი ელექტრონული ჟურნალების სახით.

.....  
დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024;



- შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტის ჩარჩო/პროექტი;
- სასწავლო პროექტები;
- მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები;
- სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები;
- შეფასების მასალები;

### 2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს გარკვეული გამოცდილება საბაზო საფეხურზე დაამყაროს პოზიტიური კომუნიკაცია, შექმნას სასწავლო პროცესში კეთილგანწყობილი გარემო, დაამყაროს კარგი ურთიერთობები როგორც პედაგოგებთან, ასევე მოსწავლეებთან და მშობლებთან. ამის მტკიცებულებაა პროექტები, რომელშიც ჩართულია სასკოლო საზოგადოების სამივე რგოლი. მოსწავლეთა მხარდაჭერის მიზნით სკოლა ზრუნავს აქცენტი გააკეთოს მოსწავლეთა მიღწევებზე და მათ წარმატებებზე. ამდენად მათ რჩევებს და ერთად გეგმავენ შედეგების გაუმჯობესების გზებს. ცდილობენ წახალისონ მათი ქცევა. ესენია: მხარდაჭერა, ერთმანეთზე ზრუნვა, თანადგომა, პასუხისმგებლობა, ურთიერთდახმარება. საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები ითვალისწინებს მსგავს აქტივობებს, რომელიც მოსწავლეზე ზრუნვასა და მხარდაჭერაზეა ორიენტირებული. სკოლა გეგმავს ითანამშრომლოს დამრიგებლებთან, მშობლებთან წლის დასაწყისში, რადგან უკეთ გაიგონ მოსწავლეთა სოციალური და ემოციური ფონი და საჭიროებების მიხედვით დაგეგმონ მომდევნო სასწავლო პროცესი.

2. სკოლაში სასწავლო პროცესი მოსწავლეზე ორიენტირებულია და მიმართულია მის პიროვნულ განვითარებასა და წინსვლაზე. მტკიცებულებად შეიძლება ჩავთვალოთ მრავალფეროვანი კომპლექსური ტიპის დავალებები, რომლებიც ზრდის მოსწავლეთა ინტერესს და მოტივაციას. მოსწავლეები ჩართული არიან პროექტებში, რომელშიც ჩართულობა ხელს უწყობს საბაზო საფეხურის მოსწავლეების და მასწავლებლების შორის კეთილგანწყობის დამყარებას, ერთმანეთზე ზრუნვას, პასუხისმგებლობას, თანამშრომლობის უნარის ჩამოყალიბებას. სასწავლო პროცესში დიფერენცირების პრინციპების გამოყენება ასევე ადასტურებს იმას, რომ სასკოლო გარემო მოსწავლეზე ორიენტირებულია და მორგებულია მის ინტერესს და საჭიროებას.

3. რადგან სკოლა მცირეკონტიგენტია, ამიტომ ხდება სხვადასხვა კლასის მოსწავლეთა გაერთიანება სხვადასხვა აქტივობების განსახორციელებლად. ამ მიზნით არსებობს ერთმანეთთან მჭიდრო კომუნიკაცია და თანამშრომლობა. ასევე საბაზო კათედრის



მასწავლებლები ხშირად ატარებენ სამუშაო შეხვედრებს, სადაც ერთმანეთს უზიარებენ სწავლის პროცესში წარმატებულ პრაქტიკას, ასევე წამოჭრილ პრობლემებს და ერთობლივად სახავენ გადაჭრის გზებს. მაგ: ტრენინგ-კურსზე „ლიდერი მასწავლებელი“ შემოთავაზებულ აქტივობებს უზიარებენ მასწავლებლებს, რომლებიც ირჩევენ მათთვის მისაღებს და შეაქვთ სასკოლო პრაქტიკაში. სკოლაში მჭიდრო თანამშრომლობითი კავშირია სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. ამის მტკიცებულებებია საბაზო საფეხურის კურიკულუმები, სასწავლო პროექტები; მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები და მათი ანლიზი, სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები; მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზის და ანგარიშის წარმოება მოსწავლეებისა და მასწავლებლის დონეზე. უცხო ენის კათედრა გამოირჩევა ურთიერთპატივისცემით, კოლეგიალობით. იგრძნობა თანამშრომლობითი და მხარდამჭერი გარემო. მასწავლებლებს აქვთ გარკვეული გამოცდილება კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტის პრაქტიკაში გამოყენების. მუდმივი თანამშრომლობითი კავშირია ასევე სხვა დანარჩენ კათედრებთან, რაც საგანთა ინტეგრირებით გამოიხატება (ბუნებისმეტყველება, ხელოვნება).

მომდევნო სასწავლო წლიდან იგეგმება ინტეგრირებული კომპლექსური დავალებების განხორციელება, რაც კიდევ უფრო გაზრდის და გააძლიერებს მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას და საგანთა შორის კავშირს.

და ნორმებზე დაფუძნებულ პოლიტიკას. საბაზო საფეხურის კურიკულუმებიდან ჩანს რომ პედაგოგები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ფორმალურ განათლებასთან ერთად არაფორმალურ განათლებას, ამ კუთხით გეგმავენ სასკოლო ექსკურსიებს, ლაშქრობებს, კლასის სპექტაკლებზე წაყვანას და რა თქმა უნდა სასკოლო პროექტებს. ყოველივე ეს პოზიტიური გარემოს შექმნას უწყობს ხელს.

4. სკოლა შესაძლებლობას აძლევს მოსწავლეებს ისწავლონ ფიზიკურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოში. საკლასო რესურსები ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლისათვის. სკოლაში მოქმედებს სადამრიგებლო საათი, რომელიც აძლევს მოსწავლეებს საშუალებას ისაუბრონ პირად საკითხებსა და საკუთარ პრობლემებზე. მათ შეუძლიათ მიმართონ ნებისმიერ დროს დირექტორს ან სხვა მასწავლებელს, რომლებიც ყოველთვის გულისყურით უსმენენ და ეხმარებიან. აღმზრდელობითი მუშაობა მიმდინარებს სხვადასხვა ფორმით: დისკუსია, ფილმების ჩვენება-განხილვა, სასწავლო ექსკურსია, როლური თამაში, გამოფენა, კონკურსი.

ჩანს, რომ სასკოლო საზოგადოების წევრები ინტენსიურად არიან ჩართული სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში. იგრძნობა პოზიტიური სასკოლო კლიმატი, რაც ჩანს თანამშრომლობით კავშირებით სასკოლო საზოგადოებას შორის. მოქმედებს წახალისების მექანიზმები: სერტიფიკატებით დაჯილდოებები, სიტყვიერი წახალისება. აღიარება, პატივისცემა, ნდობა, მაღალი მორალური ღირებულებები, ჩართულობის მაღალი შესაძლებლობები, აკადემიური და პიროვნული ზრდა, მიკუთვნებულობის მაღალი გრძნობა, სკოლის განვითარებაზე პასუხისმგებლობა და ზრუნვა ქმნის სკოლის პოზიტიური კლიმატს. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კურიკულუმები;
- სასკოლო-სასწავლო გეგმა 2023-2024;
- შეფასების მასალები;
- სასკოლო პროექტები

- საგნობრივი ჯგუფის შეხვედრის ოქმები;
- სასკოლო პროექტები
- შეფასება;

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

## 2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

### 2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. სასკოლო საზოგადოებას გააზრებული აქვს, რომ კურიკულუმის განვითარება არის ციკლური პროცესი, მონიტორინგი და შეფასება კი ამ პროცესის განუყოფელი ნაწილია და თვლის, რომ აუცილებელია კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმის დახვეწა, შესაბამისად, მიმდინარე სასწავლო წელს სკოლა გამოკვეთს მონაცემთა მიზნობრიობას, მათი შეგროვებისა და ანალიზის პროცესებს, როგორ შეიძლება გამოყენებულ იქნას მიღებული შედეგები კურიკულუმისა და სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესებისათვის. განსაზღვრავს ინდიკატორებს, რომელიც შესაძლებლობას მისცემს სკოლას გაზომოს როგორც პროცესი -რა განხორციელდა მიზნის მისაღწევად, ასევე მიღწეული შედეგები. მონიტორინგისა და შეფასებისათვის გამოიყენება მოსწავლეთა კომპლექსური დავალებების შედეგები, გაკვეთილებზე დასწრების ანალიზი, კათედრის ანგარიშები და სხვა. სკოლაში აღნიშნული მიმართულებით მონიტორინგს განხორციელებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი და სკოლის დირექცია.. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ კათედრის შეხვედრებზე სისტემატიურად ხდება კურიკულუმების შეფასება და მონიტორინგი - რამ გაამართლა? რა არის გასაუმჯობესებელი? რის განხორციელება ვერ შეძლეს - სწორედ ამ მიზნით სამინისტროს მიერ მოწოდებული კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით შეიმუშავეს კურიკულუმი, გეგმავენ მონიტორინგს და შეფასებას.

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის ჩანაწერებში, თანდართულ დოკუმენტებში და პედაგოგებთან ინტერვიუების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სკოლა მუშაობს კურიკულუმის განხორციელების მონიტორინგისა და შეფასების სისტემაზე, გეგმავს მასწავლებელთა მხარდაჭერასა და დახმარებას, მათ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვასა და ხელშეწყობას. მტკიცებულებებზე დაყრდნობით მასწავლებლებს შეუძლიათ შეაფასონ მოსწავლის სწავლის პროცესი, დაადგინონ ის სფეროები და უნარები, სადაც მოსწავლეს დახმარება სჭირდება, მისცენ უკუკავშირი და მიგნებების გათვალისწინებით დაგეგმონ სწავლის პროცესი. მონიტორინგი და შეფასება ხელს შეუწყობს სკოლის მომავლის დაგეგმვას, ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებასა და ახალი შესაძლებლობების შეფასებას. მასწავლებლები ერთმანეთის მხარდაჭერის მიზნით ახორციელებენ მონიტორინგს, რომ მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი დაგეგმონ. ამ მიმართულებით ერთ-ერთ მთავარ ინსტრუმენტად/ორგანოდ თვლიან ხარისხის მართვის ჯგუფს, ასევე იგეგმება კათედრაზე, კათედრის ყველა წევრის ჩართულობით მოხდეს კურიკულუმების მონიტორინგი და შეფასება.

3. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მონიტორინგი და შეფასება ეხმარება მათ გამოკვეთილი ხარვეზებისთვის დაგეგმონ ინტერვენციები, გადაამუშაონ კურიკულუმები და გადაჭრან არსებული პრობლემები. 2023-2024 სასწავლო წელს გეგმავენ ამავე მიმართულებით გააგრძელონ მუშაობა და არსებული პრაქტიკა გააგრძელონ, საჭიროებისამებრ დაკვირვების საფუძველზე- პროცესში გააუმჯობესონ ანალიზის საფუძველზე, რომელიც კათედრებისა და დირექციის დისკუსიის საფუძველზე გამოიკვეთება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კათედრების ოქმები;
- მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები;
- სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები;

### 2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მასწავლებლებთან ინტერვიუმ და თვითშეფასების კითხვარმა აჩვენა, რომ სკოლაში მოსწავლის და პროცესის შეფასების სისტემა ჰოლისტური ხასიათისაა, ეყრდნობა მრავალფეროვან ინსტრუმენტებს: ჩართულია მშობელი, აქტუალურია მოსწავლეების ურთიერთშეფასება, რითიც იღრმავებენ ცოდნას და იძენენ გამოცდილებას. სკოლას აქვს განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, კომპლექსურ დავალებებს კი აფასებენ სოლო ტაქსონომიით - ზეპირი უკუკავშირის ფორმით აძლევენ განმავითარებელ შეფასებებს. შეფასების სისტემაში იცავენ ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ობიექტურობის/სამართლიანობის პრინციპებს.
2. თვითშეფასების კითხვარიდან ჩანს, რომ მოსწავლეთა ფიზიკური, კოგნიტური და ფსიქო-ემოციური განვითარების ხელშესაწყობად, მასწავლებლები ცდილობენ შეისწავლონ მოსწავლეები სხვადასხვა კონტექსტში: გაითვალისწინონ მოსწავლეთა სოციალურ - ემოციური ფონი, განსაზღვრონ მოსწავლეთა წინარე ცოდნა / გამოცდილება, ინტერესები, კოგნიტური / ფიზიკური უნარები და ამის შესაბამისად მოახდინონ მოსწავლეთა სწავლის პროცესის დაგეგმვა-შეფასება.
3. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ შეფასებისას იყენებენ მათ მიერ დაკვირვების შედეგად მიღებულ ინფორმაციას - საკლასო აქტიურობა, საშინაო დავალებები, შემაჯამებელი დავალებები, ასევე დამრიგებლისგანაც იღებენ ინფორმაციას - შესაძლოა მასწავლებლისთვის მკაფიო არ იყოს მოსწავლის არასაგაკვეთილო პერიოდის უნარ-ჩვევები, ამ ინფორმაციას კი მასწავლებელი იყენებენ სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვისას, მათ შორის კონტექსტ მაგალითების შეთავაზება, კომპლექსური დავალებების განხორციელება, პროექტების დაგეგმვა შესაძლოა სხვა ინსტრუმენტების გამოყენებაც, რომლის შესახებაც მოიძიებენ ინფორმაციას.
4. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლის შეფასებისას ითვალისწინებენ ისეთ ფაქტორებს, როგორებიცაა აკადემიური უნარები, აზროვნებისა და დასაბუთების უნარ-ჩვევები და კომუნიკაციის ზოგადი უნარ-ჩვევები. შეფასების ამ ფაქტორებს იყენებენ მოსწავლისათვის სასწავლო მასალისა და რესურსების ადაპტირებისას. მუშაობენ სპეციალური საჭიროებების მოსწავლეებთან, სადაც ყურადღება ექცევა მოსწავლის განვითარების დონეს, სპეციალურ საჭიროებებს.

### დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- სკოლის თვითშეფასების ანგარიში;
- საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის წევრებთან გასაუბრება;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

## 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

### 2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. წარმოდგენილ დოკუმენტში „კურიკულუმის-განვითარების მეთოდოლოგია“ გაწერილია, რომ ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო პროცესის გაანალიზება. მონაცემების შეგერების საფუძველზე სკოლა ქმნის რეკომენდაციების პაკეტს მოდერნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად; რეკომენდაციების პაკეტს სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმის განსაზღვრებად და ჩაიშლება განახლებულ კურიკულუმსა და სამოქმედო გეგმაში. ამის დასტურია კურიკულუმების ჩარჩო-დოკუმენტები.

მასწავლებლებთან გასაუბრება ადასტურებს, რომ ეს პრინციპები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. სკოლა ჩართულია ზოგადი განათლების რეფორმის პროცესში და სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისას მუდმივად იღებს საგნობრივი ექსპერტებისა და ავტორიზაციის პროცესებში მხარდამჭერი ჯგუფის რეკომენდაციებს. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. კურიკულუმის წარმოდგენილი ვერსია გარკვეულწილად ეფუძნება წინარე გამოცდილებას, რადგან სკოლაში არსებობს შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმი, ეს შესაძლებლობას იძლევა, მოხდეს კურიკულუმების გადასინჯვა და მისი გაუმჯობესება; კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით, მომდევნო წლის კურიკულუმი მონიტორინგის შედეგად მიღებული მონაცემების გათვალისწინებით იქნება შემუშავებული, შესაბამისად დაეფუძნება წინარე გამოცდილებას. ვიზიტის დროს აღინიშნა, რომ კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია გაკვეთილზე



დაკვირვების შედეგად გამოვლენილი მიგნებები, რაც კათედრის წევრებთან გასაუბრებიდანაც დასტურდება. სკოლა აკმაყოფილებს კრიტერიუმს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- ბუნებისმეტყველების კურიკულუმები;
- ბუნებისმეტყველების მეცნიერებების კათედრის წევრებთან გასაუბრება;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.
  - ☒ შეესაბამება
  - ☐ მეტწილად შეესაბამება
  - ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
  - ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

.....

.....

.....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

6. 6782

ნანა ხუფაცარია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ქრისტინე ძიმიგური



ნ. ჭიჭინაძე

ნინო ჭიჭინაძე

მ. შვარდნაძე

მზია შვარდნაძე

ა. კოკოჩიშვილი-ახვლედიანი

ანა კოკოჩიშვილი-ახვლედიანი

ეკატერინე გავაშელიშვილი

ეკატერინე გავაშელიშვილი

ნონა გორგილაძე

ნონა გორგილაძე

ნ. გამხიტაშვილი

ნონა გამხიტაშვილი

ნათია ბრეგაძე

ნათია ბრეგაძე



ე. ბარბაქაძე

ეკატერინე ბარბაქაძე

მურად ფახურიძე

თარიღი: 21.11.2023